# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 27 ნოემბერი 2004 №276 (2297) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა




ილევა 2004 წელი და ევროპა „ფრანს ფუტბოლისგან" საუკეთესო ფეხბურთელის ვინაობას ელის. მოგეხსენებათ, ამ გამოკითხვაში „ბებერი კონტინენტის" ქვეყნების ჟურნალ-გაზეთები და სააგენტოები მონაწილეობენ. ათი წელიწადი შესრულდა, რაც მასში მონაწილეობს საქართველოც, კერძოდ კი მისი წარმომადგენელი „სარბიელი", რომელმაც ამჯერად თავისი სიმპათიები ასე დაახარისხა:

1 ანდრეი შევჩენკო (მილანი)
2 დეკო (ბარსელონა)
3 რონალდინიო (ბარსელონა)
4 ტიერი ანრი (არსენალი)
5 უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი)



# ფიფა დინამოს: ალადაშვილი არ ათამაშოთ!

თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველი კახა ალადაშვილი ექვსი თვე ვერც საქართველოს ჩემპიონატში ითამაშებს — ასეთია ფიფას გუშინწინდელი გადაწყვეტილება.

კახა ალადაშვილს უკრაინა — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების მატჩისას მსაჯის შეფურთხება, ფიფა-უეფას ენაზე კი არაეთიკური საქციელი, აი, რად დაუჯდა.

უეფამ კახა ალადაშვილი რომ ექვსთვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა, ამის თაობაზე ორიოდ დღის წინ ვიუწყებოდით. ალადაშვილი უეფამ მისი ეგიდით ჩატარებული ყველა მატჩიდან სეზონის ბოლომდე მოკვეთა, საქმე „დამატებითი გამოძიებისთვის“ კი ფიფას გადასცა. თუმც ფიფას ერთი საკითხილა ჰქონდა გადასაწყვეტი — ითამაშოს თუ არა ალადაშვილმა ეროვნულ ჩემპიონატში? ფიფას სადისციპლინო კომიტეტმა ალადაშვილს საქართველოს ჩემპიონატშიც აუკრძალა თამაში.

ეს ამბავი თბილისის „დინამომ“ გუშინ სწორედ ფიფადან შეიტყო. თუმც ისიცაა, რომ დინამოელებს ფიფას გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვთ.

თბილისელები ფიფაში აპელაციას ორშაბათს გააგზავნიან.

**ჰოგა ინასარიძე**

# გრაცერული გოლის ფასი

## შოთას ორი კვირა გაუცდება

*გლაზგოს „რეინჯერსმა“ უეფას თასის ჯგუფური ეტაპის მეორე მატჩიც მოიგო — ავსტრიულ „გრაცერს“ სამი უპასუხო გოლი გაუტანა და აქედან მეორე ბურთი შეცვლაზე შესულმა შოთა არველაძემ შეაგდო. შოთამ პირველ მატჩშიც გამოიჩინა თავი — პოლონურ „ამიკას“ 11-მეტრიანით გაუტანა. „გრაცერთან“ მატჩის წინ არველაძეს საზარდული აწუხებდა, მისი თამაში სათუო იყო, მაგრამ მაინც ათამაშეს და ძველი ტრავმაც გაურთულდა და ახალიც დაიმატა...*

— „გრაცერთან“ საზარდული უარესად ვიტკინე და ფეხის ზედა კუნთიც დავიზიანე. სურათს ორშაბათს გადავიღებ და კარგი იქნება, თუ კუნთი გაწყვეტილი არ აღმოჩნდება. როგორც უნდა იყოს, დაახლოებით ორი კვირა მომიწევს დასვენება.

**— უეფას თასზე უფრო შედეგიანად თამაშობ, ვიდრე შოტლანდიის ჩემპიონატში...**

— საქმე ისაა, რომ თავდამსხმელად არ ვთამაშობ. „გრაცერთანაც“ მარცხენა ინსაიდის პოზიციაზე ვიყავი და როცა თავდამსხმელების უკან ხარ, შენს მეურვე ნახევარმცველს დაცვაშიც უნდა ჩამოჰყვე. ასეთ დროს კი გოლის გატანა ძნელია.

**— ხიზანიშვილმა ბოლომდე მოირჩინა მარცხენა ფეხის თითი?**

— უკეთ აქვს, მაგრამ ბოლომდე არ მოურჩენია, ტკივილი კვლავ აწუხებს.

**დავით თავართქილაძე**

# თავისუფლად!

## რანგნიკმა კობიაშვილი გამოიცნო

*ლევან კობიაშვილმა „შალკეში“ გოლებს უხშირა. ამ სეზონში უკვე მეოთხედ გაიტანა, ბოლოს გუშინწინ, უეფას თასზე უნგრულ „ფერენცვაროშთან“. ახლა კობიაშვილს ორი გოლი ბუნდესლიგაში აქვს გატანილი, ორიც — უეფას თასზე. რა მოხდა? ვისი ან რისი დამსახურებაა ლევან კობიაშვილის აგოლება?*



— არის ხოლმე კარიერაში იღბლიანი პერიოდები და ახლა ჩემთვისაც სწორედ ასეთი დროა. 12 ბუნდესლიგურ თამაშში ორი გოლი გავიტანე, ამდენივე უეფას თასზე. სეზონის დამთავრებამდე კი ჯერ შორია და ალბათ კიდევ გავიტან — გვითხრა ლევანმა, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით.

**— შენი შედეგიანობა, ალბათ, მხოლოდ იღბალიც არ არის. „შალკეში“ ახალი მწვრთნელის დანიშვნას შენთვის სათამაშო პოზიციის შეცვლა მოჰყვა...**

— ესაც მართალია... ჩემს ასეთ შედეგიანობაზე, რა თქმა უნდა, „შალკეში“ რალფ რანგნიკის ტაქტიკამაც იმოქმედა. აშკარაა, ის საკმაოდ მცოდნე, საკუთარი აზრის მქონე პრინციპული მწვრთნელია, მის ხელში „შალკე“ უფრო სანახაობრივ და ხარისხიან ფეხბურთს თამაშობს. რანგნიკმა გუნდს სწორი ტაქტიკა მოარგო და ჩვენც ავთამაშდით.

**— გინდა თქვა, რომ იუპ ჰაინკესის ტაქტიკა „შალკესთვის“ შეუსაბამო იყო?**

— ჰაინკესი 4-4-2 სქემით, ფაქტობრივად, უპლეიმეიკეროდ გვათამაშებდა, მე კი მარცხენა მცველის პოზიციას არ მაშორებდა. რანგნიკი უფრო შემტევი ფეხბურთის მიმდევარია, მეტწილად 4-3-3 განლაგებით გვათამაშებს და უნდა ითქვას, რომ ასეთი ტაქტიკური სქემა დღევანდელი „შალკესთვის“ ზედგამოჭრილია.

**— ერთი სეზონი მცველად რომ ითამაშე, ახლა ნახევარმცველობა არ გიჭირს?**

— არც ისე. არჩევანი ჩემზე რომ იყოს, სწორედ ნახევარდაცვის შუაში თამაშს ვისურვებდი. ვფიქრობ, მოედანზე ჩემი ადგილი იქ არის, სადაც რანგნიკი მათამაშებს.

**— ანუ?**

— უკანდახეულ, თავისუფალ ცენტრალურ ნახევარმცველად.

**— თავისუფალი როგორ გავიგოთ?**

— შეტევისას არ უნდა შევიზღუდო. ალბათ ამიტომაცაა, უკვე ოთხი გოლი რომ გავიტანე. იუპ ჰაინკესი კი მუდმივად მარცხნიდან მათამაშებდა, თანაც შეტევაში ჩართვის ნაკლები საშუალება მქონდა. ვფიქრობ, მოედნის ცენტრში გუნდისთვის უფრო სასარგებლო ვარ.

**— ბრაზილიელ პლეიმეიკერ ლინკოლნს ჰაინკესი რატომ არ ათამაშებდა?**

— აკი გითხარი, ჰაინკესის დროს „შალკე“, ფაქტობრივად, გამთამაშებლის გარეშე თამაშობდა. ოთხი ნახევარმცველიდან ორი განაპირა იყო, ორიც — საყრდენი. რანგნიკმა კი ლინკოლნი პირველივე ვარჯიშის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში დააყენა და უკვე ყველა ხედავს, რომ „შალკეს“ დიდი ძალა შეემატა.

**— ბუნდესლიგის წინა ტურში, „ლევერკუზენთან“ მატჩის ბოლოს მწვრთნელმა ისევ მარცხენა მცველად დაგაბრუნა. რანგნიკი ხშირად გიცვლის ხოლმე სათამაშო პოზიციას?**

— იშვიათად, თუმც, როცა ტაქტიკური გადაწყობაა საჭირო, მწვრთნელი ძველ პოზიციაზეც მათამაშებს ხოლმე.

**— „შალკემ“ უეფას თასის შემდეგ ეტაპზე თამაში უკვე გაინაღდა. ახლა ალბათ მთელ ენერგიას ბუნდესლიგას მოახმართ...**

— ასეა. უეფას თასზე ბოლო მატჩი როტერდამში, „ფეიენოორდთან“ გვაქვს, მაგრამ ეს შეხვედრა ჩვენთვის უმნიშვნელოა. გერმანიის თასის შემდეგ ეტაპზეც გასულები ვართ და წლეულს საზრუნავი მხოლოდ ბუნდესლიგა დაგვრჩა. პირველი წრის ბოლომდე სამი ტური დარჩა და ქულათა მაქსიმუმის ალებას ვეცდებით. უეფას და გერმანიის თასებზე ბრძოლას კი გაისად გავაგრძელებთ.

**— ბუნდესლიგის ლიდერებში გაერიეთ, ჩემპიონობაზეც ხომ არ ფიქრობთ?**

— დარწმუნებული ვარ, ყველა შალკელი ასე ფიქრობს, მაგრამ გუნდში ჯერ ჩემპიონობაზე არავის არაფერი უთქვამს. ჩვენ ვთამაშობთ, კარგად ვთამაშობთ, ჯერჯერობით კარგი შედეგი გვაქვს და ვნახოთ, მერე როგორ იქნება. ბოლოს დაითვლება ქულები და თუ ჩემპიონობას შევძლებთ, ამაზე დიდი მიღწევა, აბა, რა იქნება? ისე კი, მთელი გელზენკირხენის ოცნება სწორედ „შალკეს“ ჩემპიონობაა.

**ჰოგა ინასარიძე**

# ფრაიბურგს აღარ უთმენენ

*ბუნდესლიგაში ტური ტურს მისდევს, „ფრაიბურგი“ კი მთელი სისწრაფით მიექანება ქვედა ლიგისკენ. ალექსანდრე იაშვილისა და ლევან ცქიტიშვილის გუნდი ბოლოსწინა, მე-17 ადგილზე ჩაბეტონდა და ჯერჯერობით ანაცვლების პირი არ უჩანს*

— „ფრაიბურგს“ ერთგული გულშემატკივრები კი ჰყავს, მაგრამ მათაც ყელში ამოუვიდათ ამდენი წაგება და პრესასთან ერთად მაგრად მოგვდგნენ — გვითხრა ალექსანდრე იაშვილმა, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით— ფაქტია, ცუდად ვთამაშობთ, მაგრამ მაინც მგონია, რომ არ გვიმართლებს. ბოლო ორ ტურში, „დორტმუნდთანაც“ და „არმინიასთანაც“ მოგებაც შეგვეძლო. „დორტმუნდთან“ არაერთი მომენტი გვქონდა, მთლიანობაში არაფერი დაგვითმია, მაგრამ ორივე გოლი სტანდარტულებიდან გავუშვით.

**— ფინკე რას აბრალებს წაგებებს?**

— მწვრთნელია და უკეთესად ხედავს შეცდომებს. შეცდომები კი იმდენია, ჩამოთვლა გაჭირდება. რა ვიცი, ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ და ვნახოთ...

**— ხვალ „კაიზერთანაც“ თუ წააგეთ, ძალიან გაირთულებთ საქმეს...**

— იმედი მაქვს, ასე არ მოხდება. „კაიზერმა“ ბოლო ტურებში მოუმატა თამაშს, მაგრამ ჩვენზე ბევრად ძლიერი ნაღდად არაა და იქნებ სამი ქულაც ავიღოთ. ისე, ფრეც ნორმალური შედეგი იქნება.

**— ახლა სანაკრებო ამბებზეც ვთქვათ: დანიასთან მატჩის შემდეგ ყველას გაორებული გრძნობა გქონდათ.**

— მართალია, ახლოს ვიყავით სამ ქულასთან და ფრეს დავჯერდით. ძალიან გვეწყინა, მაგრამ დანიასთან ფრეც არაა ცუდი შედეგი. მგონი, გულშემატკივრებიც კმაყოფილები დარჩნენ და რაც მთავარია, ჯგუფიდან გასვლის იმედი მიეცათ.

**— ნაკრებს ამაზე უკეთესად თამაში შეუძლია?**

— რატომაც არა. ეს ჩვენი მაქსიმუმი არ იყო. მაქსიმუმი ის იქნებოდა, დანიისთვის რომ მოგვეგო. ათასში ერთხელ ხდება, რომ ყველა ფეხბურთელს 100 პროცენტით წაუვიდეს თამაში. ეტყობა, ჩვენც რაღაც დაგვაკლდა.

**— უკრაინას უკვე 10 ქულა აქვს, თუმც ჯგუფის ფავორიტად ბევრი ისევ დანიას თვლის...**

— მეც ამ აზრისა ვარ. დანია ყველაზე ძლიერია ჯგუფში, მაგრამ მთავარი ქულებია. წინ ბევრი მატჩია, მარტში ზედიზედ ორ თამაშს შინ ვატარებთ და აქ ბევრი რამ გადაწყდება.

**— ოთხი მატჩი უკვე ითამაშეთ და დასკვნების გაკეთებაც შეიძლება. რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ალენ ჟირესმა ნაკრებში დანერგა?**

— უმთავრესი ისაა, რომ ტაქტიკურად გამართულად ვთამაშობთ. ჟირესმა დაამტკიცა, რომ მცოდნე მწვრთნელია და შედეგიც სახეზეა. კარგი ფეხბურთელები წინა წლებშიც გვყავდა, მაგრამ შედეგი არ გვქონდა. და კიდევ, პირველად ხდება, რომ ზედიზედ ოთხი მატჩიდან არცერთი არ ჩაგვიგდია და აქედან ორ თამაშში ბოლო წუთებზე გავათანაბრეთ ანგარიში.



**ილია ნანოგაშვილი**

# სოშო, ნიუკასლი, სპორტინგი: შარშან რომ გვეთამაშა, სხვა დინამოს ნახავდით

*25 წლის გიორგი შაშიაშვილი თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია და გამოცდილებაც არაერთ დინამოელზე ბევრად მეტი აქვს. „დინამო“ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე უხეიროდ კი თამაშობს, მაგრამ შაშიაშვილი ის მცველია, ვინც სხვაზე ნაკლებ შეცდომებს უშვებს და სხვაზე უკეთ თამაშობს, თუმც ამას არსებითი მნიშვნელობა ახლა არ აქვს. გიორგის უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე „დინამოს“ თამაშზე ვესაუბრეთ*



— რაც „დინამომ“ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშა, ეს მაქსიმუმი იყო?

— ჩვენი მეტოქეების შეფასებით დავიწყოთ — ისინი ძალიან ძლიერი გუნდები არიან, ევროპულ ელიტაში ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ. მათთან უკეთ თამაში მაინც შესაძლებელი იყო, „სოშოსთან“ და „სპორტინგთან“ ბავშვური შეცდომები დავუშვით, თუმც ისიც შეიძლებოდა, რომ უფრო უარესადაც გვეთამაშა. რაც შეეხება იმას, ეს ჩვენი მაქსიმუმი იყო თუ არა, ეს უფრო მწვრთნელმა და გულშემატკივარმა უნდა შეაფასონ.

— ჯგუფურ ეტაპამდე „დინამომ“ წარმატებით ითამაშა უეფას თასზე და ალბათ არც „ვისლა“ იყო „სოშოზე“ თუ „სპორტინგზე“ ბევრად ნაკლები გუნდი. რა მოხდა შემდეგ, „დინამოს“ ძალა გამოეცალა?

— უეფას თასის ჯგუფურმა ეტაპმა სეზონის პირველ ეტაპის მიწურულს მოგვიწია. ჩვენ სეზონის წინ მხოლოდ ერთი შეკრება გავიარეთ გერმანიაში და ეს სეზონის პირველი ეტაპის ბოლოსთვის აღარ გვეყო — გერმანული შეკრება „ვისლას“ ეყო და იქით ვეღარ. „ვისლას“ შემდეგ ძალა დაგვეკარგა. ჩემპიონატშიც სეზონის დასაწყისშიც უკეთ ვთამაშობდით.

— ესე იგი, „დინამოს“ ჯანი აღარ შერჩა ჯგუფური ეტაპისთვის?

— ძალების განაწილებას ვეღარ ვახერხებდით — ტრავმების გამო სულ პრობლემები გვექმნებოდა, როცა ჩვენნაირ გუნდს ორი-სამი ფეხბურთელი მოაკლდება, ეს მასზე ძალიან მკვეთრად მოქმედებს. თანაც, „დინამოში“ ბევრი ახალგაზრდა, გამოუცდელი ფეხბურთელიც თამაშობს.

— შენ გამოუცდელი ფეხბურთელი ალბათ არ გეთქმის — როგორ გრძნობდი თავს ჯგუფური ეტაპის მატჩებში, მეტნაკლებად გამოცდილ ფეხბურთელად თუ პირიქით?

— სანამ ჯგუფური ეტაპი დაიწყებოდა, რაღაც გამოცდილება მართლაც მქონდა საერთაშორისო დონეზე თამაშისა, მაგრამ იმდენი არა, რაც ჯგუფური ეტაპის სამი თამაშის მერე დამიგროვდა. ეს მატჩები შარშან რომ გვეთამაშა, ახლა სულ სხვა „დინამოს“ ნახავდით. რა სისწრაფეზე ვითამაშოთ, როდის დავაგდოთ და გავზარდოთ ტემპი, როდის და სად დავაშვებინოთ მეტოქეს შეცდომა, როდის და სად გავაკეთოთ მიხრჩობა — ყველაფერი ეს შარშან რომ გვენახა, შესაძლოა, ჯგუფში თამაში არ წაგვეგო.

— ეთანხმები იმას, რომ ეს „დინამო“ ყველა მატჩს ერთი ტაქტიკით და რეჟისურით თამაშობს, რასაც უკვე ევროპულმა კი არა, საქართველოს ჩემპიონატის გუნდებმაც აუღეს ალღო?

— ეს ფაქტორი მართლაც არსებობს, მაგრამ ჩვენ ელემენტარულად არ გვქონდა იმის დრო, რომ სხვა ტაქტიკური ვარიანტები დაგვემუშავებინა, რადგან სეზონის წინ მხოლოდ ერთი შეკრება გავიარეთ — ასეთ დროს გადაწყობა ძალიან ძნელია. მართლაც ჩანდა, რომ ჩვენს მეტოქეებს „დინამოს“ თამაში კარგად ჰქონდათ შესწავლილი. „სპორტინგს“ ისიც ეტყობოდა, რომ იცოდა, მეორე ტაიმში უფრო მძლავრად წავიდოდით წინ და თამაშიც უფრო კონტრშეტევებზე ააგო. თუმც სეზონისწინა გერმანული შეკრება ძალიან გამოგვადგა — იქ ძლიერ მეტოქეებს ვეთამაშეთ და ამან გაგვიადვილა „ბატესთან“, „სლავიასთან“ და „ვისლასთან“ თამაში.

— „სპორტინგთან“ მატჩს წინ გია გეგუჩაძე რაზე აკეთებდა აქცენტს?

— მწვრთნელი გვამხნევებდა და ყველანაირად ცდილობდა, დათრგუნულები არ ვყოფილიყავით, რაც შეიძლება ლაღად ითამაშეთო.

**დავით თაგართქილაძე**

# უეფას თასი 2004-2005
## D ჯგუფი
# გარედან ნაფიქრი

*ბოლო თამაში ჯერ წინ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ „დინამოს“ კარის გაჯახუნებაც შეუძლია და თავის ძალიან დაბლა დახრაც, მაგრამ, მოდი, დღესვე ვთქვათ — ის, რომ გუნდი უეფას თასის გათამაშების შესარჩევი ნაწილიდან ძირითადში მოხვდა და მერე ჯგუფშიც შეაღწია, ჩინებული იყო. ამისთვის დიდი მადლობა*

მართლაც, რა უნდა მოხდეს ბოლო დღეს ათენში ისეთი, რომ გვათქმევინოს, ნეტა პირველივე საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამოვვარდნილიყავით, ამ სირცხვილს ხომ ავიცილებდითო. ასეთ რამეს არ ველით. გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ ის, რაც მოხდა, გამოცდილების შეძენა იყო. მართალია, აუცილებელი სულაც არ არის გამოცდილება მაინცა და მაინც ერთიმეორეს მიყოლებული წაგებებით შეიძინო (ფრე იყოს, ბოლოს და ბოლოს), მაგრამ ნურც ამას გამოვეკიდებით. რაც მოხდა, მოხდა. უფრო ორ ისეთ მომენტზე გვინდა ყურადღების გამახვილება, რომლებიც ყველაზე მეტად მოგვხვდა გულზე.

პირველი ტაქტიკაა. ამასთან, ძალიან კარგად გვესმის, რომ ამ საკითხზე მსჯელობისას ფრთხილად უნდა ვიყოთ, ვინაიდან მწვრთნელმა გუნდის ქიციც იცის და ქიცმაცურიც, რის გამოც ჩვენი გარედან ნაფიქრი შეიძლება მთლად კორექტული არ გამოვიდეს. მაგრამ, მეორე მხრივ, შედეგი ყველაზე კარგად გარედან ჩანს. „დინამოს“ შემთხვევაში სამმცველიან დაცვასა და შეტევაზე ორიენტირებულ თამაშს ვგულისხმობთ. ვფიქრობთ, რომ ამ პრინციპის ზედმეტი ერთგულება საჭირო არ იყო. მაგალითისთვის „სპორტინგთან“ თამაში ავიღოთ: ამ დღეს „დინამოს“ ნახევარმცველები წინ და უკან მგლებივით ვერ დარბოდნენ, თავდამსხმელებიც ვერ ქმნიდნენ მწვავე მომენტებს (ვერც, ასე ვთქვათ, თვითონ და ვერც ნახევარდაცვის მოკრძალებული დახმარებით), არადა, თეორიულად იცოდნენ, რომ შემტევი ფეხბურთი უნდა ეთამაშათ და გამოვიდა, რომ შვიდი თბილისელი წინ იდგა, ხოლო უკანა სამი სწრაფ და ღონიერ ლისაბონელთა კონტრშეტევებს იყო შეტოვებული.

არ გვინდა, ზედმეტობაში ჩამოგვართვათ, მაგრამ ქართველობა და თბილისელობა შეტევების საგანგებო უნარსა და ფინტების კორიანტელს არ უდრის. ეს მაშინ უნდა გავაკეთოთ, როდესაც მესხი და გუცაევი, მეტრეველი და ყიფიანი გვყავს, ხოლო თუ ასეთები არ არიან, ჯობს, დაცვას მეტი ყურადღება დავუთმოთ და უფრო რაციონალური, ვთქვათ, ოთხმცველიანი ფეხბურთი ვითამაშოთ. სწორად გაგვიგეთ, ჩვენს გუნდს შეტევაზე უარის თქმისკენ კი არ მოვუწოდებთ, უბრალოდ, ვამბობთ, რომ სიტუაციიდან გამომდინარე პრინციპებს თუ გადავხედავთ ხოლმე, ცუდი არ იქნება. ის, რამაც „სლავიასთან“ და „ვისლასთან“ გაჭრა, ეტყობა, „ნიუკასლთან“ და „სპორტინგთან“ არ ჭრის.

ამ თემაზე საუბარი კიდევ შეიძლება, მაგრამ ვინაიდან ჩვენი ძირითადი მოსაზრება, ვფიქრობთ, გადმოცემულია, საჭირო აღარ არის, ამიტომ მეორე, ალბათ უფრო საბაზისო საკითხზე გადავიდეთ. ეს საკითხი კი კლუბის შეჯიბრებისთვის მზადებაა. პირობითად რომ ვთქვათ, თუ უეფას თასზე გავდიოდით, ტრავმირებული ირაკლი ზოიძის და გამოუცდელი ზურაბ მამალაძის გარდა სხვა მეკარე რატომ არ გვყავდა? „დინამო“ ნაკრები ხომ არ არის, უცხოელის ჩამოყვანა არ შეიძლებოდეს.

იგივე შეიძლება ითქვას სამმცველიანობაზეც. თუ, დავუშვათ, ჩვენ გვყავს მწვრთნელი, რომელიც რომელიმე კონკრეტული განლაგების სპეციალისტია (ასეთები უცხოეთშიც არიან), რატომ არ ვუყიდეთ მისი საყვარელი სქემის შესაფერისი მოთამაშეები? მაშინ ხომ ის 3-4-3 თუ 3-5-2 სხვა დონის შესრულებით გვექნებოდა.

აქვე დავძენთ, ამ სიტყვებს რომ ვწერთ, ვითვალისწინებთ, რომ შეძლებულ გუნდზე, თბილისის „დინამოზეა“ საუბარი, თორემ სხვაზე ხმის ამომღები არ ვიყავით. სხვა უეფას თასზე ასე შორსაც ვერ გავიდოდა, „დინამო“ კი გავიდა და რითაც დავიწყეთ, იმით დავამთავრებთ. ყველაფრის მიუხედავად, ამისთვის მადლობა.

ახლა მთავარია კარი გამოვიჯახუნოთ!

**პაპუნა ძიძია**

# di_na_mo_fan@hotmail.com

# დინამო 0:8 ევროპა

სიმართლე გითხრათ, გამოსაქვეყნებელი ბევრიც არაფერი გვაქვს. „დინამოსთვის“ სპორტინგელების გატანილ ოთხ გოლს გულშემატკივრებმა ერთი ამდენი წერილი მოაყოლეს და სულ ეგ იყო, მაშინ როცა ზაფხულიდან მოყოლებული, ევროპის ჩემპიონატისადმი, ჩვენი ნაკრებისადმი თუ იმავ „დინამოსადმი“ მიძღვნილი წერილები მრავლად მოგვდიოდა.

წერილთა ახლანდელი სიმწირე იოლად ასახსნელია: გულშემატკივარი მაშინ არის განსაკუთრებით აქტიური, როცა ჩვენი გუნდი თუ ნაკრები კარგად თამაშობს და იგებს, ან მაშინ, როდესაც ძალიან ცუდად თამაშობს და გულშემატკივარს გუნდის თავზე ლაფის დასხმის სურვილი უჩნდება.

გუშინწინ „დინამომ“ ძალიან ცუდად ითამაშა, ანუ წესით ბევრი უკმაყოფილო წერილი უნდა მიგვეღო. მაგრამ აქ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი. ჩვენთვის იმდენად მოულოდნელი იყო „დინამოს“ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გასვლა, რომ გმირობად ჩავუთვალეთ და ჯგუფიდან გასვლა აღარ მოგვითხოვია. ჩვენ ალბათ იმთავითვე ვიყავით შეგუებული, რომ ჯგუფში მოხვედრა ამ ეტაპზე „დინამოს“ შესაძლებლობათა მაქსიმუმი იყო და ეს სამი მარცხი მეტისმეტად მტკივნეულად აღარ აღგვიქვამს. ამდენად, „დინამოს“ ახლანდელმა მარცხმა ის რეაქცია აღარ გამოიწვია, წინა წლებში რომ ჰქონდა.

ამ გრძელი შესავლის მერე კი გვინდა ერთი ავტორის ორი წერილი გამოვაქვეყნოთ, პირველი „სპორტინგთან“ მატჩამდე მოსული, მეორე კი მატჩის მერე და დავაკვირდეთ, როგორ იცვლებოდა განწყობა.

მატჩამდელი წერილი: რაღაც ხალხში პესიმისტური განწყობა სუფევს — სტადიონზე არ მიდის: ცივაო, მაინც წავაგებთო და რავიცი, კიდევ რას აღარ იმიზეზებენ. წარმატების იმედი რომ არ მქონდეს, არც მე წავიდოდი სტადიონზე — იმედი ბოლოს კვდება.

MEZVRO

მატჩისშემდგომი წერილი: ყველაფერი ლოგიკურია. ძალა (ფული, კლასი) ალმართს ხნავს.

დინამო 0:8 ევროპა.

კეთილი მომავლის იმედით გემშვიდობებით, კარგად

MEZVRO

**WEB ოსტატი ბუარა**

საქართველოს ჩემპიონატი — უმაღლესი 16 ლიგა — 17 ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 16 | 10 | 5 | 1 | 27:8 | 35 |
| დინამო | 16 | 10 | 3 | 3 | 35:18 | 33 |
| თბილისი | 16 | 9 | 3 | 4 | 33:19 | 30 |
| ვიტ ჯორჯია | 16 | 8 | 4 | 4 | 28:19 | 28 |
| ლოკომოტივი | 16 | 6 | 7 | 3 | 21:12 | 25 |
| ბათუმი | 16 | 6 | 4 | 6 | 22:15 | 22 |
| ზესტაფონი | 16 | 5 | 1 | 10 | 12:33 | 16 |
| კოლხეთი | 16 | 4 | 3 | 9 | 14:23 | 15 |
| სიონი | 16 | 3 | 2 | 11 | 13:38 | 11 |
| დილა | 16 | 2 | 2 | 12 | 11:31 | 8 |

ორი ტურიც და საქართველოს მე-16 ეროვნული ჩემპიონატი ზამთრის ძილს მიეცემა. ყინვიან ეკვატორამდე კი აქამდე ნანახზე არანაკლებ საინტერესო მატჩები გველის. ინტრიგა განსაკუთრებულად იგრძნობა ამ ტურშიც. დღესხვალ თბილისში თუ ბათუმში, ბოლნისში თუ გორში დიდ ამბებს ველით და თუ რატომ, ამაზე ქვემოთ...

# ცხელი ტური ცივ ეკვატორამდე

## საინტერესო ერთი, მეორე, მესამე...



ვიტელ ვლადიმერ გოჩაშვილს „ტორპედოსთვის“ არაერთხელ გაუტანია

**ტურის** მთავარი მატჩი „ვიტ ჯორჯია“ — „ტორპედოა“. ქვეყნის 11-გზის ჩემპიონ თბილისის „დინამოს“ გარდა ოქროსთვის კბილი ამ ორ გუნდსაც დაუდგამს. უფრო თუ დავაზუსტებთ, ვეტერინარები სულაც მოქმედი ჩემპიონები არიან, ქუთაისელებს კი ძველი, დროების დაბრუნება სწადიათ და თან ჩემპიონატსაც ლიდერობენ.

ვინ ვინ და, „ვიტ ჯორჯიამ“ კი იცის, როგორ გაამწაროს „ტორპედო“. მათ შეხვედრებში ხშირად მომხდარა, დედაქალაქელებს ბოლო წუთებზე რომ გაუტანიათ გადამწყვეტი გოლი და ამ ყველაფრის ოსტატი დღესაც არ დაიხევს უკან — ვლადიმერ გოჩაშვილი, ვეტერინართა ათიანი „ტორპედოსთან“ მართლაც ათიანში არტყამს ხოლმე.

მაგრამ რიონისპირელებსაც ჰყავთ თავიანთი ათიანი — გია მეგრელაძე 11 გოლით ლიდერობს ბომბარდირებში და ფაქტია, რომ სადღეისოდ ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია საქართველოში. მეგრელაძე იმ მხრივაც დიდი ხეირია, რომ გუნდი მას მაქსიმალურად კარგად იყენებს — „ტორპედომ“ 16 მატჩში 27 გოლი გაიტანა და, როგორც უკვე ვთქვით, 11 მეგრელაძის ანგარიშზეა.

მწვრთნელებზეც უნდა ვთქვათ — „ვიტ ჯორჯიას“ სათავეში კვლავაც მერაბ კოჭლაშვილი ჩაუდგა. საქმეს საამისო პირი აქამდეც ჰქონდა — კრაკოვულ „ვისლასთან“ 2:8 მარცხის მერე როლებგაცვლილი ვლადიმერ ხაჩიძე და კოჭლაშვილი ისედაც თითქმის თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ და ახლანდელი ოფიციალური როქი მოულოდნელი არც ყოფილა. მოკლედ, დღეს კოჭლაშვილი ძველ საქმეს უბრუნდება და... თან სად, იმ „ეროვნულზე“, სადაც ზემოთ ნახსენები პოლონური სირცხვილი იგემა. დიახ, „ვიტ ჯორჯია“ — „ტორპედო“ დიდუბეში გაიმართება და ამინდის შემხედვარეთ ეს არც უნდა გაგვიკვირდეს — მცხეთის „არმაზი“ ხომ წვიმაში ყანას უფრო ჰგავს, ვიდრე მოედანს.

თბილისში დღეს არანაკლებ საინტერესო ჯახიცაა. ისანში „თბილისი“ და „ლოკომოტივი“ შეიყრებიან. ლუის ცაკარიასის გუნდს დისკვალიფიკაციამოხდილი ფეხბურთელები უბრუნდებიან და რკინიგზელებსაც, წესით, უნდა გაუჭირდეთ. გოჩა ხოჯავა, სანდრო იაშვილი, რევაზ გეწაძე — ამათი არყოფნა რასაც ნიშნავდა, წინა ტურშიც ვნახეთ, როცა „თბილისმა“ 0:2 წააგო „ვიტ ჯორჯიასთან“.



პირველ წრეში როინ ონიანის „ლოკომოტივმა“ „თბილისს“ 3:1 აგემა

ზაურ სვანაძის ბიჭებს კი რეაბილიტაცია სურთ — ბოლოს „დინამოსთან 2:5 მარცხს გუნდი ნაღდად არ იმსახურებდა და ამის დამტკიცება რკინიგზელებს დღეს მოუწევთ. საინტერესოა ისიც, რომ „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ პირველად დადგება ექსლოკომოტიველი ცაკარიასი.

თბილისიდან გადავინაცვლოთ ბათუმში, სადაც ზღვისპირული დერბი გაიმართება. გაჭირვებამოძალებული „ბათუმი“ ფოთის „კოლხეთს“ უმასპინძლებს. პროგნოზი ყველამ თავისი თქვას — ვინ ამოვა ზღვიდან მშრალი, ძალიან ძნელი სათქმელია.

„სიონი“ — „ზესტაფონი“. ტოტალიზატორებმა ეს თამაში რომ დაფსონონ, უმეტესობა ორიანს დაწერს, ანუ სტუმრებს მოაგებინებს. თუმც საკითხავია, ბოლნისელები ვის ან რას მოაგებინებენ. რეალობა კი ასეთია — „სიონს“ ფული ფულად უჭირს, ქულა ქულად. ამბობენ, ფინანსური პრობლემა უკვე მოგვარდაო და რამდენად მართალია, მალე გამოჩნდება. „ზესტაფონს“ კი რა უშავს — მოგებებიც დაიწყო და ტრანსფერსაც ტრანსფერზე ჩარხავს. გუშინდელი „სარბიელიდანაც“ გეცოდინებათ, რომ ზესტაფონელებმა ზურაბ იონანიძე გადაიბირეს, თუმც მისი თამაში წლეულს გამორიცხულია — სატრანსფერო ფანჯარა ჯერაც ჩაკეტილია.

ჰო, ერთიც — ბოლნისში თემურ მახარაძე ჩადის. „სიონის“ ყოფილი მწვრთნელი, ახლა კი „ზესტაფონის“ თავკაცი. ნეტავ როგორ დახვდებიან მახარაძეს ბოლნისელები? ამ კაცმა ხომ სკანდალური და ავადმოსაგონარი „ოქროს მატჩის“ დასრულებამდე დატოვა „სიონი“ და გუნდიდან აიბარგა.

ტურის ბოლო მატჩი კი ხვალ გაიმართება — გორის „დილა“ თბილისის „დინამოს“ ისტუმრებს და, სენსაციის სუნი იგრძნობაო, ვერ ვიტყვით, მაგრამ გარკვეული მოულოდნელობის მოლოდინი კი ჩანს, მით უმეტეს, უეფას თასზე თამაშით დაღლილ „დინამოს“ ძალები ხეირიანად არც აღუდგენია. სტუმრების წისქვილზე „დილას“ სიძაბუნე ასხამს წყალს, მაგრამ... პატარა გორი შინაურ კედლებში ზოგჯერ მართლაც დიდია, თუმც ბოლოხანს ეს ერთობ იშვიათად ხდება. „დინამო“ კი მაინც „დინამოა“.

**კახა შალამბერიძე**

თბილისი. 27 ნოემბერი. 13.30 საათი. ოლიმპი

### თბილისი — ლოკომოტივი

მსაჯები: მ. მაისურაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედია); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ს. კოტრიკაძე

ბათუმი. 27 ნოემბერი. 13.30 საათი. დინამო

### ბათუმი — კოლხეთი

მსაჯები: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში), დ. ხარიტონაშვილი (თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ბოლნისი. 27 ნოემბერი. 13.30 საათი. თამაზ სტეფანია

### სიონი — ზესტაფონი

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი, მ. ელიკაშვილი; ა. შილაკაძე (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ჭელიძე

თბილისი. 27 ნოემბერი. 13.30 საათი. ეროვნული

### ვიტ ჯორჯია — ტორპედო

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

გორი. 28 ნოემბერი. 13.30 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

### დილა — დინამო

მსაჯები: მ. მალალურაძე (თბილისი); ი. აფციაური (დუშეთი), ზ. ჯვარიძე გ. ვადაჭკორია (ორივე ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

**სამი მატჩიც** და, პირველ ლიგაში პირველი წრე დასრულდება. ამათგან ერთი შეხვედრა დღესაა, „ვიტ ჯორჯია“ „დინამოს“ ფარმკლუბს 29 ნოემბერს შეხვდება, „გურიასა“ და „მილანი-მერანის“ მეცხრე ტურის გადადებული მატჩი კი უფრო მოგვიანებით გაიმართება.

პირველი წრის ვრცელ მიმოხილვასაც ამის მერე შემოგთავაზებთ, იქამდე კი ის ვთქვათ, რაც ცხრილიდანაც ჩანს — უმაღლესი ლიგის ორ საგზურს სამი მთავარი პრეტენდენტი ჰყავს, მთავარი ბრძოლები კი წინაა.

საქართველოს ჩემპიონატი — პირველი 16 ლიგა — პირველი წრე — 15 ტური

ცხინვალი 2:0 ოლიმპი

გურია 2:1 ივერია

მერანი 1:3 ლოკომოტივი 2

დღეს

საგარეჯო — ჩიხურა

ზეგ

ვიტ ჯორჯია — დინამო 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 15 | 12 | 1 | 2 | 42:20 | 37 |
| ამერი | 15 | 11 | 1 | 3 | 45:7 | 34 |
| სპარტაკი | 15 | 9 | 6 | 0 | 29:15 | 33 |
| კახეთი | 15 | 10 | 1 | 4 | 27:20 | 31 |
| ვიტ ჯორჯია | 14 | 9 | 3 | 2 | 23:7 | 30 |
| დინამო 2 | 14 | 8 | 1 | 5 | 37:22 | 25 |
| ცხინვალი | 15 | 6 | 3 | 6 | 21:20 | 21 |
| ივერია | 15 | 5 | 5 | 5 | 15:17 | 20 |
| ლოკომოტივი 2 | 15 | 5 | 4 | 6 | 21:22 | 19 |
| გურია | 14 | 5 | 3 | 6 | 14:21 | 18 |
| ჩიხურა | 14 | 5 | 2 | 7 | 14:18 | 17 |
| მილანი-მერანი | 14 | 4 | 1 | 9 | 19:28 | 13 |
| ოლიმპი | 15 | 3 | 3 | 9 | 14:26 | 12 |
| რუსთავი | 15 | 3 | 1 | 11 | 16:31 | 10 |
| საგარეჯო | 14 | 1 | 4 | 9 | 13:38 | 7 |
| მალაროელი | 15 | 0 | 3 | 12 | 7:45 | 3 |

# უეფას თასი 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. III ტური

## სიმაო თაღლითობაში ამხილეს-
## უეფა ბოიას გამოიძიებს



„ბაზელი“ — „ჰართსი“. მასპინძლებს პირველი გოლი უაიზმა გაუტანა

### A ჯგუფი

**შალკე 2:0 ფერენცვაროში**

1:0 დიეპესი (15ს.კ.), 2:0 კობიაშვილი (40)

შალკე: ფ. როსტი, კლასენერი (პოულსენი 46), ბორდონი (ვალდოხი 40), კრსტაიჩი, პანდერი, ვერმანტი, ასამოა, კობიაშვილი, ლინკოლნი, სანდი (ჰამიტ ალტინტოპი 46), აილტონი

მწვრთნელი: რალფ რანგნიკი

მსაჯი: კოლომბო

51 179 მაყურებელი

**ბაზელი 1:2 ჰართსი**

0:1 უაიზი (31), 1:1 კარინანო (76), 1:2 ნილსონი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შალკე | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ფეიენოორდი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| ჰართსი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| ბაზელი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ფერენცვაროში | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |

IV ტური, 1 დეკემბერი

ფერენცვაროში — ბაზელი

ფეიენოორდი — შალკე

### B ჯგუფი

**სტიაუა 2:1 ბეშიქთაში**

1:0 ნეაგა (3), 2:0 ციჩოი (19), 2:1 აკიმი (87)

**სტანდარდი 2:1 პარმა**

0:1 პისანო (43), 1:1 კერაერტსი (54), 2:1 გარბინი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტიაუა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| ბეშიქთაში | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ბილბაო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| სტანდარდი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| პარმა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |

IV ტური, 1 დეკემბერი

ბეშიქთაში — სტანდარდი

ბილბაო — სტიაუა

### C ჯგუფი

**დნიპრო 1:0 აუსტრია**

1:0 ნაზარენკო (19)

**ბრიუგე 1:0 უტრეხტი**

1:0 ლანგე (62)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დნიპრო | 3 | 3 | 0 | 0 | 6:3 | 9 |
| სარაგოსა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ბრიუგე | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| აუსტრია | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| უტრეხტი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | 0 |

IV ტური, 1 დეკემბერი

აუსტრია — ბრიუგე

სარაგოსა — დნიპრო

### E ჯგუფი

**ვილიარეალი 2:0 მიდლსბრო**

1:0 გიარე (36), 2:0 ვენტა (74)

**ლაციო 2:2 პარტიზანი**

0:1, 0:2 ბოია (6, 25), 1:2 დი კანიო (52), 2:2 ს. ინძაგი (73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიდლსბრო | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| ვილიარეალი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| პარტიზანი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:2 | 4 |
| ლაციო | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | 2 |
| ეგალეო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

IV ტური, 2 დეკემბერი

პარტიზანი — ვილიარეალი

ეგალეო — ლაციო

### F ჯგუფი

**რეინჯერსი 3:0 გრაცერი**

1:0 ნოვო (58), 2:0 არველაძე (86), 3:0 ნამუში (90)

რეინჯერსი: კლოსი, ხიზანიშვილი, ბუმსონგი, ენდრიუსი, ვინალი (ბოლი 30), ნამუში, რიკსენი, მალკოლმი, ლოვენკრანდსი (არველაძე 77), პრსო, ნოვო

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

მსაჯი: ო. ბენკუერენსა (პორტუგალია)

46 453 მაყურებელი

**ამიკა 1:3 ალკმაარი**

0:1 ვან გალენი (13), 0:2 მეერდინკი (37), 0:3 ჰუსეგემესი (39), 1:3 დემბინსკი (58)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:0 | 6 |
| ალკმაარი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| გრაცერი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ოსერი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| ამიკა | 3 | 0 | 0 | 3 | 2:11 | 0 |

IV ტური, 2 დეკემბერი

ალკმაარი — რეინჯერსი

ოსერი — ამიკა

### G ჯგუფი

**ბენფიკა 2:0 დინამო**

1:0 შოკოტა (11), 2:0 სიმაო (28პ)

**ჰერენვენი 1:0 შტუტგარტი**

1:0 ილდირიმი (67)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტუტგარტი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:2 | 6 |
| ბენფიკა | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| დინამო | 2 | 1 | 0 | 1 | 6:3 | 3 |
| ჰერენვენი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ბევერენი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:11 | 0 |

IV ტური, 2 დეკემბერი

დინამო — ჰერენვენი

ბევერენი — ბენფიკა

### H ჯგუფი

**ზენიტი 1:1 სევილია**

1:0 არშავინი (35), 1:1 ბაპტისტა (72)

**აეკ 1:2 ლილი**

0:1 ვიტაკიჩი (26), 0:2 დებუ (64), 1:2 ამპონსაჰი (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ზენიტი | 3 | 1 | 1 | 1 | 7:4 | 4 |
| სევილია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ალემანია | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| აეკ | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |

IV ტური, 2 დეკემბერი

სევილია — აეკ

ალემანია — ზენიტი

### A ჯგუფი

ბაზელში მოგებით „ჰართსმა“ ჯგუფიდან გასვლის შანსი შეინარჩუნა. შვეიცარიის ჩემპიონთან შოტლანდიური გუნდის გამარჯვება თითქოს მოულოდნელია, მაგრამ „ბაზელი“ ამჟამად აშკარად არაა სასურველ ფორმაში. კრისტიან გროსის შეგირდებმა ჯერ ჩემპიონატში „შაფჰაუზენთან“ წააგეს, მერე კი თასზე „თუნთან“ დამარცხდნენ.

სტუმრებმა საჯარიმოს გათამაშების შედეგად გახსნეს ანგარიში. სამი მოკლე პასით უაიზი ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა და ცუბერბიულერს გაუტანა. მეორე ტაიმში გროსმა შეტევის გასაძლიერებლად კარინანო შეუშვა, რომელმაც შესვლიდან ათ წუთში გაათანაბრა. მასპინძლებს შინ სამი ქულის მოხვეჭა ეწადათ და თამაშის მიწურულს მიეძალნენ კიდეც „ჰართსის“ კარს, მაგრამ ზურგმოშიშვლებულებმა ნილსონისგან მეორე გოლი გაუშვეს.



„სტანდარდი“ — „პარმა“. გარბინის (№22) გოლმა მასპინძლებს სამი ქულა მოუტანა

გელზენკირხენში „შალკემ“ ძალიან ბევრი საგოლე მომენტი შექმნა, მაგრამ ორზე მეტი ვერ გაიტანა. აუტიდან ჩაწოდებულ ბურთს „ფერენცვაროშის“ მეკარე უხეიროდ წაეპოტინა და დიეპესმა თავით საკუთარ კარში ჩაჭრა. ლევან კობიაშვილმა საჯარიმოს ხაზიდან ცაციით დაჰკრა და ბურთი დაბალ კუთხეში შეასრიალა. ჯერალდ ასამოამ კი ამის შემდეგ ორი კარგი ეპიზოდი ჩააფლავა.

### B ჯგუფი

მატჩის ბოლო ათი წუთის განმავლობაში „ბეშიქთაში“ კაცნაკლულ მასპინძლებს ეთამაშებოდა, მაგრამ მხოლოდ ერთი გოლის გაქვითვა შეძლო. რუმინელები მესამე წუთზე დაწინაურდნენ. ბოსტინემ მარცხენა ფლანგიდან ჩააწოდა, იბრაჰიმ უზულმეზი ბურთს ვერ შესწვდა, ხოლო ნეაგამ მეტოქის შეცდომით ისარგებლა და ანგარიში გახსნა.

მეორე გოლი მარჯვენფლანგურ კომბინაციას მოჰყვა. ნეაგამ ახლო ძელთან ჩაჰკიდა, იქვე ჩასაფრებულმა ციჩოიმ კი ბურთი ბადეში ააფართხალა.

შესვენების შემდეგ „ბეშიქთაშის“ ფორვარდი იონ კარეუ დაშავდა და შეცვალეს. შეხვედრის დასრულებამდე ათი წუთით ადრე ოპრიცა გააძევეს, იბრაჰიმ აკინმა კი მეკარე ხომუტოვსკის დაასწრო და თავური დარტყმით გაიტანა.

ლიეჟში მოგებული პირველი ტაიმის შემდეგ „პარმამ“ ორი გოლი გაუშვა და წააგო. მასიმო მაკარონემ პისანო რუნიეს პირისპირ შეჰყარა და ფორვარდმა ანგარიში გახსნა. გოლამდე თავად მაკარონეს შეეძლო გატანა, მაგრამ მეკარესთან ერთიერთზე გასულმა მომენტი დალუპა.

შესვენების შემდეგ „სტანდარდი“ მეტოქეს მიაწვა. კერაერტსმა მცველების მიერ მოგერიებულ ბურთს საგოლედ დაამატა, ხოლო მატჩის ბოლო წუთზე გარბინმა ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმო დარტყმა.

### C ჯგუფი

ბრიუგეში მასპინძლებს პირველივე ტაიმში ნასტია ჩეხი გაუძევეს, მაგრამ ლანგემ დამხვდურთა დაწინაურება მაინც შეძლო. „უტრეხტმა“ კაცმეტობით ვერ იხეირა, ბოლოს კი ჰოლანდიელებიც ათი კაცით დარჩნენ, რადგან მსაჯმა სტუმარი კორნელისი ნასტია ჩეხის გზას გაუყენა.

უკრაინულმა „დნიპრომ“ მესამე მატჩიც მოიგო და ჯგუფიდან რიხით გავიდა. ნაზარენკოს მიერ მეოცე წუთზე გატანილ გოლს ავსტრიელებმა ვერაფრით უპასუხეს, რადგან „დნიპროს“ დაცვა ყოჩაღობდა.

### E ჯგუფი

რომში „ლაციომ“ ბელგრადის „პარტიზანს“ სიმონე ინძაგის გოლით ქულა გამოსტაცა. რომაელმა ფანებმა კი სტუმართა კამერუნელი ფორვარდი პიერ ბოია რასისტული შეძახილებით შეურაცხჰყვეს. უეფა ამ საქმეს გამოიძიებს და „ლაციოს“ ჯარიმა ალბათ არ ასცდება.

„პარტიზანი“ პიერ ბოიას წყვილი გოლის წყალობით იგებდა. მეექვსე წუთზე კამერუნელი მცველებს გაექცა და ანგარიში გახსნა. იშტაზე მოსულმა ბოიამ მალე მეორეც მიაყოლა. მისი თავური დარტყმის შემდეგ სერენიმ ბურთი ვერ მოიხელთა და კამერუნელმა დასწრებაზეც ივარგა.

პაოლო დი კანიომ მეორე ნახევრის დასაწყისში ერთი გაქვითა, ხოლო სიმონე ინძაგიმ სეზარის პასით იხეირა და გაათანაბრა.

„მიდლსბრომ“ საამსეზონო უეფას თასზე პირველი შეხვედრა ვილიარეალში წააგო, მაგრამ მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ბოლო ტურში ფრეც ჰყოფნის. სტივ მაკლარენმა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი და მარკ ვიდუკა პირველ ტაიმში დაასვენა, ხოლო მასპინძლებს დისკვალიფიცირებული ხოსე მარი აკლდათ. გიარეს გოლის შემდეგ მაკლარენმა ჰასელბაინკი და ვიდუკა შეუშვა მოედანზე და სტუმრებმა რიგოტას წყალობით გაათანაბრეს კიდეც, მაგრამ მსაჯმა არ ჩათვალა. სამაგიეროდ, რიკელმეს პასით ვენტას გატანილი ჩაითვალა და „ვილიარეალმა“ ჯგუფში მეორე საფეხურზე გადაინაცვლა.

### F ჯგუფი

ჰოლანდიის ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა „ალკმაარმა“ პოლონეთში „ამიკა“ პირველივე ტაიმში დააჩოქა. პერესის საჯარიმო დარტყმა მეკარემ მოიგერია, ვან გალენმა კი საგოლედ დაამატა. შესვენებამდე რვა წუთით ადრე „ალკმაარმა“ ზედიზედ ორი გოლი გაიტანა. პერესის ჩაწოდებული ბურთი მეერდინკმა „ამიკას“ კარში შეაგდო. ამის შემდეგ ვან გალენი გავიდა მეკარესთან პირისპირ, რომელმაც ბურთი უშნოდ მოიგერია, ჰუსგემესმა მცველებს დაასწრო და მესამე გაიტანა. დემბინსკიმ მეორე ნახევარში პენალტით ერთი გაქვითა.

### G ჯგუფი

ლისაბონში „ბენფიკამ“ შესვენებამდე წყვილი გოლი გაუტანა ზაგრების „დინამოს“. ჯოვანი ტრაპატონის გუნდმა ზაგრებელთა ახალ მწვრთნელ ილია ლანჩაროვიჩს დებიუტი ჩაუმწარა. ტომისლავ შოკოტამ თავური დარტყმით გახსნა ანგარიში, სიმაო საბროსას კი მსაჯმა პენალტი გაამეორებინა, რადგან საბროსამ პირველ ცდაზე წაიეშმაკა და ბურთამდე მისვლისას რამდენჯერმე შეჩერდა. პორტუგალიელმა პირველიც გაიტანა და მეორე ცდით მაინც იმავე კუთხეში შეაგდო.

ჰერენვენმა „შტუტგარტი“ დაამარცხა, მაგრამ გერმანული გუნდი კვლავ პირველ ადგილზე დარჩა. ილდირიმის გოლი სტუმარი მცველების შეცდომას მოჰყვა. ჟივკოვიჩმა საჯარიმოდან ვერ გამოიტანა ბურთი, რომელიც ილდირიმს მიუვიდა და მანაც საგოლედ დაჰკრა.

### H ჯგუფი

სანკტ პეტერბურგში ფრიით განაწყენებულმა მასპინძელმა ფანებმა ნამატჩევს სკამები დაამტვრიეს. არყით გაჟღენთილი ოცამდე ქომაგი პოლიციამ შეიპყრო და გამოსაფხიზლებელში გააქანა.

ნევისპირელები არშავინმა დააწინაურა, მაგრამ ბაპტისტამ თავური დარტყმით გაათანაბრა. ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა კერჟაკოვმა, როცა კარიდან გამოსული სუარესი შენიშნა და ბურთი ჩარჩოს აცილა.

გაკოტრებას გადარჩენილ აეკ-ს „ლილმა“ ათენში მოუგო. ბერძნებმა მეტოქის კარის ძელ-ხარიხა აზანზარეს, მაგრამ მხოლოდ ერთი გოლის გაქვითვა შეძლეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# იტალია

პაპუნა კიდია



წინა სეზონის „ინტერი“ — „იუვენტუსი“ 3:2 დასრულდა

# დიდი ინტერესი: ინტერი — იუვე

| XIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ლივორნო | : | უდინეზე |
| სიენა | : | რომა |
| **ხვალ** | | |
| ატალანტა | : | რეჯინა |
| ბოლონია | : | ლეჩე |
| ბრეშა | : | პალერმო |
| კიევო | : | მილანი |
| ინტერი | : | იუვენტუსი |
| ლაციო | : | კალიარი |
| მესინა | : | ფიორენტინა |
| სამპდორია | : | პარმა |

| სადღეისო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 12 | 10 | 1 | 1 | 23:4 | 31 |
| მილანი | 12 | 7 | 4 | 1 | 18:8 | 25 |
| უდინეზე | 12 | 5 | 4 | 3 | 18:12 | 19 |
| მესინა | 12 | 4 | 5 | 3 | 17:17 | 17 |
| კიევო | 12 | 4 | 5 | 3 | 10:12 | 17 |
| ლეჩე | 12 | 4 | 4 | 4 | 24:21 | 16 |
| ინტერი | 12 | 2 | 10 | 0 | 23:20 | 16 |
| ლაციო | 12 | 4 | 4 | 4 | 13:12 | 16 |
| ლივორნო | 12 | 4 | 4 | 4 | 12:14 | 16 |
| კალიარი | 12 | 4 | 4 | 4 | 15:18 | 16 |
| ფიორენტინა | 12 | 3 | 6 | 3 | 12:10 | 15 |
| პალერმო | 12 | 3 | 6 | 3 | 9:9 | 15 |
| სამპდორია | 12 | 4 | 2 | 6 | 8:10 | 14 |
| ბრეშა | 12 | 4 | 2 | 6 | 10:16 | 14 |
| რომა | 12 | 3 | 4 | 5 | 19:21 | 13 |
| რეჯინა | 12 | 3 | 4 | 5 | 9:12 | 13 |
| ბოლონია | 12 | 3 | 3 | 6 | 13:16 | 12 |
| პარმა | 12 | 2 | 6 | 4 | 14:19 | 12 |
| სიენა | 12 | 2 | 5 | 5 | 8:16 | 11 |
| ატალანტა | 12 | 0 | 7 | 5 | 11:19 | 7 |

**სერია A** ამ უქმეებზე უპირველეს ყოვლისა, „ინტერისა“ და „იუვენტუსის“ მატჩით იპყრობს ყურადღებას. ეს იტალიურ დერბად მონათლული შეხვედრა ხვალ, ჩვენი დროით საღამოს თერთმეტის ნახევარზე მილანში დაიწყება და შეიძლება ჩავთვალოთ, რომ სკუდეტოს ნომერ პირველი მაძიებლისთვის, „ბებერი ქალბატონისთვის“ პირველი ნამდვილი გამოცდა იქნება.

„შავ-ლურჯები“, ანუ მასპინძლები მიმდინარე სეზონის დასაწყისში „იუვესთან“ ერთად ითვლებოდნენ სკუდეტოს მთავარ ფავორიტებად, მაგრამ 12 ტური რომ გავიდა და ლიდერს ანუ ზემოხსენებულ „იუვეს“ მთელი 15 ქულით ჩამორჩნენ, პროგნოზებმა მათ მომავალ ჩემპიონობასთან დაკავშირებით ნირი იცვალა. მეორე მხრივ, რობერტო მანჩინის გუნდი ამ წუთისთვის ერთადერთია მთელ სერია A-ში, რომელმაც წაგების სიმწარე რა არის, არ იცის. თუმცა, რაღა მხოლოდ სერია A-ში, „ინტერი“ ევროპის წამყვან ლიგებშიც ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდია, მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს, ეს გუნდი, რომელიც არ მარცხდება, ფაქტობრივად, ვერც იგებს — 12 ტურის მერე 10 ფრე აქვს ნათამაშევი, თან ამ ფრეებიდან „სან სიროზე“ ვერმოგებული ზედიზედ ექვსია. უნდა აღინიშნოს დაცვის ამბავიც — „ინტერის“ დაცვას გაშვებული აქვს 20 გოლი, ხოლო ამაზე უარესი შედეგი მხოლოდ „ლეჩესა“ და „რომას“ აქვთ.

ინტერელთა ქომაგებს ძალიან აშფოთებთ ის ფაქტიც, რომ „კალიარისთან“ 3:3 ნათამაშევ შეხვედრაში სამიდან ვერც ერთი გოლი ვერ გაიტანა ადრიანომ, ამ სეზონში გუნდის ყველაზე დიდმა იმედმა და ვარსკვლავმა. ამბობენ, რომ 22 წლის ბრაზილიელი ყოველ შეხვედრაში თამაშმა უბრალოდ დაღალა და აქცენტი უფრო ბოაფემი მარტინსზე გადააქვთ. კილი გონსალესი, ხუან სებასტიან ვერონი და ანდი ვან დერ მეიდე კი კვლავ დაშავებულები გახლავან.

„იუვეს“ გამოუჯანმრთელდა ჯონათან ძებინა, რომელიც, სავარაუდოდ ძირითად შემადგენლობაში იქნება, ხოლო ალესანდრო დელ პიერო, მიუხედავად იმისა, რომ მსუბუქად ვარჯიშს შეუდგა, ბრძოლას ჯერ მაინც მოარიდეს.

წინა სეზონში ანალოგიური მატჩი ანუ „სან სიროზე“ „ინტერისა“ და „იუვენტუსის“ დაპირისპირება, „შავ-ლურჯების“ გამარჯვებით, 3:2 დასრულდა და ეს გახლდათ, — ნუ გაგიკვირდებათ და — „ინტერის“ პირველი გამარჯვება „იუვენტუსთან“ მილანში 1998 წლის შემდეგ.

საინტერესოა, რას ფიქრობს ხვალინდელ თამაშზე იტალიის ნაკრების მწვრთნელი („იუვეს“ ლეგენდარული თავკაცი) მარჩელო ლიპი:

„ეს მატჩი სკუდეტოსთვის ბრძოლაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია — უთხრა ტაქტიკოსმა „ტუტო სპორტს“ — „იუვენტუსი“ შეეცდება დაამტკიცოს, რომ ლიდერობა შემთხვევით არ მოუპოვებია და „ინტერთან“ 15 ქულიანი უპირატესობა 18-მდე გაზარდოს. რაც შეეხება „ინტერს“, იგი თავის მხრივ ყველა ღონეს იხმარს სკუდეტოსთვის მებრძოლთა შორის რომ დაბრუნდეს. ობიექტურად, ამ ორი გუნდის კლასში თხუთმეტქულიანი სხვაობა ნამდვილად არ არის და ვფიქრობ, საკმარისია მილანელებმა ერთი-ორი თამაში მოიგონ, რომ მდგომარეობის გამოსწორებას ძალიან დიდი ტემპით დაიწყებენ“.

გარდა ამისა, ლიპის ორი თავდამსხმელის, ადრიანოსა და ზლატან იბრაჰიმოვიჩის დუელზეც ჰკითხეს.

„ისინი ჩინებული ფორვარდები არიან — უპასუხა მწვრთნელმა — ბრაზილიელს ნებისმიერი პოზიციიდან გოლის გატანის უნარი აქვს. შვედი კი მაღალი კლასის, ძალიან ტექნიკური ფორვარდია. იბრაჰიმოვიჩი მეგოლედაც ძლიერია და ასისტენტადაც“.

ამასობაში კი ჩემპიონი „მილანი“ ვერონაში „კიევოს“ ეთამაშება და თუ ვინმე აპირებს „იუვენტუსთან“ სხვაობის შემცირებას, უპირველეს ყოვლისა, „შავ-წითლები“. ანდრეი შევჩენკოს, მოგეხსენებათ, ერთი პერიოდი ტრავმა აწუხებდა და იმ პერიოდში „მილანს“ გოლი ვერ გაჰქონდა, მაგრამ, როგორც კი უკრაინელი დაბრუნდა, გუნდმა „სიენა“ შთამბეჭდავად დაამარცხა. როგორც იქნა გოლი გაიტანა ერნან კრესპომაც. ეს კვირას, იტალიის თასზე და ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგაში მოხდა. სავარაუდოდ, შევას პარტნიორი სწორედ ის იქნება.

ხოლო „სიენა“ რომ ვახსენეთ, „რომას“ ხვდება — შეგახსენებთ, ეს წყვილი ზუსტად ერთი კვირის წინ იტალიის თასზე დაეჭიდა ერთმანეთს და „სიენამ“ „სტადიო ოლიმპიკოზე“ 2:1 მოიგო. ორი გოლი „ჯალოროსის“ ანუ ყვითელ-წითლებს (ქართულად წითელ-ყვითლების თქმა სჯობს) ნორვეგიელმა ტორე ანდრე ფლომ გაუტანა და გუნდი, რომელმაც წინა ორ ტურში „უდინეზესა“ და „რეჯინასთან“ წააგო, დათრგუნა.

„ლივორნოს“ და „უდინეზეს“ თამაშზე კი ამბობენ, დღეისთვის სერია A-ში ყველაზე კარგ ფორმაში მყოფი გუნდების დაპირისპირებააო. ჩახედეთ ცხრილს და დარწმუნდებით, რომ ეს შემთხვევით ნათქვამი სიტყვა არ არის. ამ დაპირისპირებამდე ჩატარებული ბოლო ექვსი თამაშიდან ორივემ ოთხი მოიგო და ორი ფრედ ითამაშა.

## სერ ალექსი მოხ[illegible]

ბოლო ხანს, სერ ალექს ფერგიუსონი ხასიათზე მოვიდა და ძველი ნათქვამი, წლეულს ჩემპიონობისთვის ბრძოლის პირი არ გვიჩანსო, სულ გადაავიწყდა.

იანვარში განგვსაჯეთო, ახლა ასე ამბობს სერ ალექსი, რომელმაც იცის, რომ მისი გუნდი ყოველთვის ყველაზე კარგად გადის შობის შემდეგ კვირეულს, რომლის დროსაც პრემიერლიგის გუნდებს 4-4 თამაშის ჩატარება უწევთ.

„ვნახოთ, რა იერისა იქნება ცხრილი იანვარში. ჩემი გამოცდილებით, ნამდვილი ლიდერი სწორედ ამ დროს იკვეთება. „ჩელსიმ“ და „არსენალმა“ ფრეები ითამაშეს ბოლო ტურში. ბოლო ათ წუთში გაუშვეს გოლები, ეს დიდი საჩუქარია ჩვენთვის. პირველს 9 ქულით ჩამოვრჩებით, მეორეს შვიდით, მაგრამ ჩვენ მოგებათა სერიაზე შევდექით. ცხრილიც კარგი გვაქვს და თუ ცხრილის ქვედა ნაწილის გუნდებს მოვუგებთ, იანვრისთვის სულ სხვა ცხენზე ვიჯდებით“.

**ირაკლი გამყრელიძე**



## ჰარი პატარა ხელფასზე

**ჰარი რედნაპი**, რომელმაც ახლახან დატოვა „პორტსმუთის“ მენეჯერობა, ფავორიტია უმენეჯერო „ვულვზში“ ასეთსავე თანამდებობაზე დასანიშნად.

ოღონდაც, „ვულვზი“ აცხადებს, რომ 57 წლის ნაცად მწვრთნელს იმდენს ვერ გადაუხდის, რამდენსაც პრემიერლიგის კლუბი უხდიდა. ანუ წლიური ხელფასი მილიონახევარ გირვანქაზე ნაკლები იქნება.

„ჩვენ შეგვეძლება მას პრემია მივცეთ, თუკი კლუბს პრემიერლიგაში დააბრუნებს — თქვა პირველი დივიზიონის კლუბის თავმჯდომარემ რიკ ჰეივორდმა — თუ არა და პირიქით, ხელფასების შეკვეცა მოგვიწევს“. ცნობისთვის, „ვულვზი“ მე-18 ადგილზეა 24-გუნდა პირველ დივიზიონში.

**ირაკლი გამყრელიძე**



# ინგლისი

ირაკლი ნინიძე

| XV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ფულემი | : | ბლექბერნი |
| ბირმინგემი | : | ნორვიჩი |
| ვესტ ბრომვიჩი | : | მანჩესტერი |
| ბოლტონი | : | პორტსმუთი |
| ჩარლტონი | : | ჩელსი |
| სიტი | : | ასტონ ვილა |
| საუთჰემპტონი | : | კრ. პალასი |
| **ხვალ** | | |
| ნიუკასლი | : | ევერტონი |
| ტოტენჰემი | : | მიდლსბრო |
| ლივერპული | : | არსენალი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 14 | 10 | 3 | 1 | 23:6 | 33 |
| არსენალი | 14 | 9 | 4 | 1 | 38:18 | 31 |
| ევერტონი | 14 | 9 | 2 | 3 | 16:11 | 29 |
| მიდლსბრო | 14 | 7 | 4 | 3 | 24:16 | 25 |
| ასტონ ვილა | 14 | 6 | 6 | 2 | 20:14 | 24 |
| მანჩესტერი | 14 | 6 | 6 | 2 | 16:10 | 24 |
| ბოლტონი | 14 | 6 | 5 | 3 | 22:18 | 23 |
| ლივერპული | 13 | 6 | 2 | 5 | 21:15 | 20 |
| ნიუკასლი | 14 | 5 | 4 | 5 | 26:26 | 19 |
| ჩარლტონი | 14 | 5 | 3 | 6 | 17:23 | 18 |
| სიტი | 14 | 4 | 5 | 5 | 17:14 | 17 |
| პორტსმუთი | 13 | 4 | 3 | 6 | 17:20 | 15 |
| ფულემი | 14 | 4 | 2 | 8 | 17:25 | 14 |
| ბირმინგემი | 14 | 2 | 7 | 5 | 11:14 | 13 |
| ტოტენჰემი | 14 | 3 | 4 | 7 | 12:17 | 13 |
| კრ. პალასი | 14 | 3 | 3 | 8 | 15:21 | 12 |
| საუთჰემპტონი | 14 | 2 | 5 | 7 | 13:19 | 11 |
| ნორვიჩი | 14 | 1 | 8 | 5 | 13:24 | 11 |
| ვესტ ბრომვიჩი | 14 | 1 | 7 | 6 | 13:25 | 10 |
| ბლექბერნი | 14 | 1 | 7 | 6 | 14:29 | 10 |



ტურის მთავარი მატჩი „ლივერპული“ — „არსენალი“

## წასაღები წავიღოთ

### ლივერპულს ჯერარდი უხარია, არსენალს კემპბელი


„ჩელსის“ დიდიე დროგბა უბრუნდება

**თუ ტურის** რომელიმე შეხვედრის „მოლოდინის მატჩად“ მოხსენიება მოგვინდება, მაშინ ასეთად საკვირაო „ლივერპული“ — „არსენალი“ უნდა მოვნათლოთ. ამ გუნდების სახელები, ძალა და ვარსკვლავები ამგვარად მოქცევას გვავალდებულებს.

„მეთოფეებთან“ მატჩს ენფილდელები მაინცდამაინც კარგი განწყობით ვერ ხვდებიან. პრემიერლიგის წინა ტურში ისინი „მიდლსბრომ“ გვემა, შუა კვირაში კი „მონაკომაც“ დაამარცხა. ერთი, რამაც ლივერპულელები შეიძლება გაახაროს, სტივენ ჯერარდის გამოჯანმრთელებაა, ვისაც აქამდე ორი თვე გაუცდა.

ვერც „არსენალზე“ ვიტყვით, მიგრიალებსო. ლონდონელებმა ბოლო ოთხი საჩემპიონატო მატჩიდან ოდენ ერთი მოიგეს და ხვალაც თუ ხელი მოეცარათ, ვინძლო კიდევ უფრო ჩამორჩნენ ლიდერ „ჩელსის“. კიდევ დავძინოთ, რომ ტრავმამოშუშებული ფეხბურთელი „არსენალსაც“ ეყოლება — დაცვის ბურჯი სოლ კემპბელი, რომელმაც ფეხი „ეინდჰოვენთან“ თამაშისას იტკინა.

„ჩელსი“ ვახსენეთ და მასზე ორიოდე სიტყვით რომ არ შევჩერდეთ, არ იქნება. ლიდერი ამ ტურში შორს არ მიდის. ლონდონშივე სტუმრობს მეათეადგილოსან „ჩარლტონს“. ჩელსელებს სამმატჩოდ დაუბრუნდებათ დიდიე დროგბა თვენახევრის ნამკურნალევი ფეხით. „ჩარლტონის“ იმედი კი ის გახლავთ, რომ წინა სეზონში „ჩელსის“ 4:2 მოუგო და გამარჯვების რეცეპტი ეგებ ახლაც გამონახოს.

გასაოცარია, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედი“ „ძალიან დაბლა“, მეექვსე ადგილზეა ცხრილში. მისთვის მეექვსეობა კი, ცხადია, სამარცხვინო რამაა და ეგებ არდასაკარგი ქულები აღარ დაკარგოს. ასეთი ქულები მანჩესტერელებს ვესტ ბრომვიჩიდან აქვთ წასაღები, რაკი იქაური „ალბიონი“ მე-19 ადგილზე ლაფავს სულს. თანაც იუნაიტედელებმა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ადგილი გაინაღდეს და მთლიანად ჩემპიონატზე შეუძლიათ გადართვა.

„ვესტ ბრომვიჩმა“ ფსკერზე ყოფნის მიუხედავად, წინა ტურში „ჰაიბერიზე“ „არსენალს“ ფრე გაუგორა, რაც მისი ახალი მენეჯერის, ბრაიან რობსონის კარგად მუშაობის ნიშანი უნდა იყოს, მაგრამ მიუხედავად ამისა, „იუნაიტედმა“ თავს ვერმოგების უფლება მაინც არ უნდა მისცეს.

„მანჩესტერის“ დაქვეითების გამო კი სამეულში ადგილი უპყრია „ევერტონს“, რომელიც ნიუკასლში ჩადის. ამ წყვილზე სათქმელი ბევრი არაფერია, რაკი ნიუკასლური ამბები ჩვენი „დინამოს“ გამოისობით, ისედაც ვიცით. მხოლოდ ის გავიხსენოთ, რომ „კაჭკაჭებმა“ „სოშო“ ალან შირერისა და პატრიკ კლუივერტის გარეშეც დაამარცხეს, „ევერტონთან“ კი ორივე ეყოლებათ.

# გერმანია

ვაჟა ხუციშვილი

## ფრთხილად, ბერტ!

### ვან მარვიიკი ჩემოდანზე ზის

| XV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ლაუტერნი | : | ფრაიბურგი |
| ბაიერნი | : | მაინცი |
| ბოხუმი | : | ნიურნბერგი |
| გლადბახი | : | ჰამბურგი |
| ვოლფსბურგი | : | ჰერტა |
| ჰანზა | : | ლევერკუზენი |
| ვერდერი | : | დორტმუნდი |
| **ხვალ** | | |
| ჰანოვერი | : | შტუტგარტი |
| შალკე | : | არმინია |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 367 | ფიგეირენსე-ატლეტიკო მნ | 2.4 | 3.25 | 2.5 | 1.38 | 1.22 | 1.41 |
| 21:00 | 368 | ბოტაფოგო-გუარანი | 1.75 | 3.3 | 4.0 | 1.14 | 1.21 | 1.8 |
| 21:00 | 369 | პარანა-გოიასი | 1.95 | 3.2 | 3.3 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 23:00 | 370 | სან პაულუ-ინტერნასიონალი | 1.3 | 4.2 | 7.0 | 1.0 | 1.09 | 2.62 |
| 23:00 | 371 | კრუზეირო-ფლუმინენსე | 1.85 | 3.25 | 3.6 | 1.17 | 1.22 | 1.7 |
| | | **28 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 372 | გრემიო-ატლეტიკო პრ | 3.4 | 3.3 | 1.85 | 1.67 | 1.19 | 1.18 |
| 21:00 | 373 | პალმეირასი-ფლამენგო | 1.5 | 3.7 | 5.0 | 1.06 | 1.15 | 2.12 |
| 21:00 | 374 | კურიტიბა-ვიტორია | 1.8 | 3.3 | 3.5 | 1.16 | 1.18 | 1.69 |
| 21:00 | 375 | პაისანდუ-სანტოსი | 3.0 | 3.3 | 2.0 | 1.57 | 1.2 | 1.24 |
| 21:00 | 376 | პონტე პრეტა-კრიციუმა | 1.85 | 3.2 | 3.6 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 21:00 | 377 | სან კაეტანო-კორინთიანსი | 1.65 | 3.3 | 4.3 | 1.1 | 1.19 | 1.86 |
| 23:00 | 378 | ვასკუ და გამა-ჟუვენტუდე | 1.95 | 3.1 | 3.3 | 1.19 | 1.22 | 1.59 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **27 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 611 | ლულეო-მალმიო | 1.65 | 4.3 | 3.4 | 1.19 | 1.11 | 1.89 |
| 17:00 | 612 | ლინჩოპინგი-მოდო | 1.8 | 4.1 | 3.0 | 1.25 | 1.12 | 1.73 |
| 17:00 | 613 | ბრიუნესი-ჯურგორდენი | 2.3 | 4.0 | 2.1 | 1.46 | 1.09 | 1.37 |
| 17:00 | 614 | ჰვ 71-ფრიოლუნდა | 2.45 | 4.3 | 2.0 | 1.56 | 1.1 | 1.36 |
| 17:00 | 615 | ტიმრო-ფერიესტადი | 1.95 | 4.5 | 2.5 | 1.36 | 1.09 | 1.6 |
| 17:00 | 616 | სიოდერტელიე-მორა | 2.25 | 4.4 | 2.2 | 1.48 | 1.11 | 1.46 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **27 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 631 | პელიკანსი-ჰელსინკი | 4.2 | 4.4 | 1.45 | 2.14 | 1.07 | 1.09 |
| 17:00 | 632 | სეიპა-ჰამეენლინა | 2.55 | 4.2 | 1.9 | 1.58 | 1.08 | 1.3 |
| 17:00 | 633 | კერპეტი-ლუკო | 1.45 | 4.4 | 4.2 | 1.09 | 1.07 | 2.14 |
| 17:00 | 634 | იუვესკიულე-ტერკუ | 2.3 | 4.2 | 2.1 | 1.48 | 1.09 | 1.39 |
| 17:00 | 635 | ილვესი-იოკერიტი | 2.55 | 4.2 | 1.9 | 1.58 | 1.08 | 1.3 |
| 19:30 | 636 | ესპოო-ესეტი | 1.95 | 4.1 | 2.6 | 1.32 | 1.11 | 1.59 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **27 ნოემბერი** | | | | | | |
| 14:00 | 713 | ნეფტეხიმიკი-დინამო | 2.65 | 4.5 | 1.85 | 1.66 | 1.08 | 1.31 |
| 14:00 | 714 | მოლოტი-ხიმიკი | 2.9 | 4.5 | 1.75 | 1.76 | 1.09 | 1.25 |
| 14:00 | 715 | სიბირი-ს.იულაევი | 1.85 | 4.4 | 2.7 | 1.3 | 1.09 | 1.67 |
| 14:00 | 716 | აკ ბარსი-მაგნიტოგორსკი | 1.65 | 4.3 | 3.5 | 1.19 | 1.12 | 1.92 |
| 14:00 | 717 | ცსკა-ავანგარდი | 2.75 | 4.2 | 1.85 | 1.66 | 1.1 | 1.28 |
| 14:00 | 718 | ნოვოკუზნეცკი-ლადა | 2.2 | 4.5 | 2.2 | 1.47 | 1.1 | 1.47 |
| | | **28 ნოემბერი** | | | | | | |
| 14:00 | 719 | სპარტაკი-ლოკომოტივი | 2.95 | 4.4 | 1.75 | 1.76 | 1.09 | 1.25 |
| | | **კალათბურთი. საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **27 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 806 | იონიკოსი-პაოკ | 2.7 | 12.0 | 1.35 | 2.2 | 1.0 | 1.21 |
| 18:00 | 807 | ირაკლისი-ოლიმპია | 1.1 | 12.0 | 4.0 | 1.0 | 1.0 | 3.0 |
| 18:00 | 808 | აპოლონი-მაკედონიკოსი | 1.85 | 12.0 | 1.8 | 1.6 | 1.0 | 1.56 |
| 20:00 | 809 | არისი-მენტი | 1.05 | 12.0 | 6.0 | 1.0 | 1.0 | 4.0 |
| | | **28 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:15 | 810 | პანელინიოსი-აეკ | 3.6 | 12.0 | 1.2 | 2.76 | 1.0 | 1.09 |
| 19:30 | 811 | ოლიმპიაკოსი-მარუსი | 1.55 | 12.0 | 2.2 | 1.37 | 1.0 | 1.85 |
| 22:00 | 812 | პანათინაიკოსი-პანიონიოსი | 1.1 | 12.0 | 4.0 | 1.0 | 1.0 | 3.0 |
| | | **კრივი** | | | | | | |
| | | **27 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 833 | მორალესი ე.-ბარერა მ.ა | 1.45 | 20.0 | 2.7 | | | |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10002 | ფულემი-ბლეკბერნი | 2.35 | 2.0 | 4.4 | 1.08 | 1.53 | 1.37 |
| 10003 | ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერი | 5.6 | 2.2 | 1.8 | 1.57 | 1.36 | 1.0 |
| 10004 | ბირმინგემი-ნორვიჩი | 2.3 | 2.0 | 4.5 | 1.06 | 1.52 | 1.38 |
| 10005 | ბოლტონი-პორტსმუთი | 1.95 | 2.2 | 5.3 | 1.03 | 1.42 | 1.55 |
| 10006 | ჩარლტონი-ჩელსი | 5.5 | 2.2 | 1.9 | 1.57 | 1.41 | 1.01 |
| 10007 | საუთჰემპტონი-კრ. პალასი | 2.35 | 2.1 | 4.0 | 1.1 | 1.48 | 1.37 |
| 10008 | სიტი-ასტონ ვილა | 2.7 | 2.0 | 3.5 | 1.14 | 1.52 | 1.27 |
| 10009 | ნიუკასლი-ევერტონი | 2.3 | 2.0 | 4.4 | 1.06 | 1.51 | 1.37 |
| 10010 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 2.9 | 2.0 | 3.2 | 1.18 | 1.52 | 1.23 |
| 10011 | ლივერპული-არსენალი | 3.5 | 2.0 | 2.7 | 1.27 | 1.52 | 1.14 |
| 10084 | ვერდერი-დორტმუნდი | 2.1 | 2.1 | 5.0 | 1.04 | 1.47 | 1.47 |
| 10085 | ვოლფსბურგი-ჰერტა | 2.3 | 2.0 | 4.5 | 1.06 | 1.52 | 1.38 |
| 10086 | ჰანზა-ლევერკუზენი | 3.5 | 2.0 | 2.7 | 1.27 | 1.52 | 1.14 |
| 10087 | კაიზერსლაუტერნი-ფრაიბურგი | 2.2 | 2.1 | 4.6 | 1.07 | 1.48 | 1.44 |
| 10088 | მიონხენგლადბახი-ჰამბურგი | 2.7 | 2.0 | 3.5 | 1.14 | 1.52 | 1.27 |
| 10089 | ბაიერნი-მაინცი | 1.4 | 3.3 | 7.5 | 1.0 | 1.17 | 2.29 |
| 10090 | ბოხუმი-ნიურნბერგი | 2.4 | 2.0 | 4.1 | 1.09 | 1.51 | 1.34 |
| 10091 | ჰანოვერი-შტუტგარტი | 2.7 | 2.0 | 3.5 | 1.14 | 1.52 | 1.27 |
| 10092 | შალკე-არმინია | 1.85 | 2.3 | 5.5 | 1.02 | 1.38 | 1.62 |
| 10146 | ლივორნო-უდინეზე | 3.2 | 2.0 | 2.9 | 1.23 | 1.52 | 1.18 |
| 10147 | სიენა-რომა | 3.4 | 2.0 | 2.8 | 1.25 | 1.53 | 1.16 |
| 10148 | მესინა-ფიორენტინა | 3.2 | 2.0 | 2.9 | 1.23 | 1.52 | 1.18 |
| 10149 | სამპდორია-პარმა | 2.3 | 2.0 | 4.4 | 1.06 | 1.51 | 1.37 |
| 10150 | ლაციო-კალიარი | 2.3 | 2.0 | 4.4 | 1.06 | 1.51 | 1.37 |
| 10151 | ატალანტა-რეჯინა | 2.6 | 2.0 | 3.7 | 1.13 | 1.52 | 1.29 |
| 10152 | ბოლონია-ლეჩე | 2.55 | 2.1 | 3.65 | 1.15 | 1.5 | 1.33 |
| 10153 | ბრეშა-პალერმო | 3.2 | 2.0 | 2.9 | 1.23 | 1.52 | 1.18 |
| 10154 | კიევო-მილანი | 5.0 | 2.0 | 2.1 | 1.42 | 1.47 | 1.02 |
| 10155 | ინტერი-იუვენტუსი | 3.0 | 2.1 | 3.0 | 1.23 | 1.5 | 1.23 |
| 10187 | ბილბაო-რასინგი | 2.3 | 2.0 | 4.5 | 1.06 | 1.52 | 1.38 |
| 10188 | ბეტისი-ვილიარეალი | 2.3 | 2.0 | 4.5 | 1.06 | 1.52 | 1.38 |
| 10189 | ესპანიოლი-ატლეტიკო | 2.6 | 2.0 | 3.7 | 1.13 | 1.52 | 1.29 |
| 10190 | ხეტაფე-ბარსელონა | 5.5 | 2.3 | 1.85 | 1.62 | 1.38 | 1.02 |
| 10191 | დეპორტივო-სოსიედადი | 1.9 | 2.2 | 5.5 | 1.01 | 1.41 | 1.57 |
| 10192 | მალაგა-ალბასეტე | 2.2 | 2.1 | 4.5 | 1.07 | 1.47 | 1.43 |
| 10193 | ნუმანსია-სარაგოსა | 3.2 | 2.0 | 2.9 | 1.23 | 1.52 | 1.18 |
| 10194 | ოსასუნა-სევილია | 2.7 | 2.1 | 3.3 | 1.18 | 1.48 | 1.28 |
| 10195 | რეალი-ლევანტე | 1.45 | 3.1 | 7.0 | 1.0 | 1.2 | 2.14 |
| 10196 | ვალენსია-მალიორკა | 1.8 | 2.4 | 5.5 | 1.02 | 1.35 | 1.67 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | |
|---|---|---|
| 12002 ფულემი-ბლეკბერნი | 1.7 | 1.9 |
| 12003 ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერი | 1.7 | 1.9 |
| 12004 ბირმინგემი-ნორვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 12005 ბოლტონი-პორტსმუთი | 1.75 | 1.85 |
| 12006 ჩარლტონი-ჩელსი | 1.75 | 1.85 |
| 12007 საუთჰემპტონი-კრ. პალასი | 1.75 | 1.85 |
| 12008 სიტი-ასტონ ვილა | 1.7 | 1.9 |
| 12009 ნიუკასლი-ევერტონი | 1.75 | 1.85 |
| 12010 ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1.7 | 1.9 |
| 12011 ლივერპული-არსენალი | 1.75 | 1.85 |
| 12084 ვერდერი-დორტმუნდი | 2.0 | 1.6 |
| 12085 ვოლფსბურგი-ჰერტა | 2.0 | 1.6 |
| 12086 ჰანსა-ლევერკუზენი | 1.95 | 1.65 |
| 12087 კაიზერსლაუტერნი-ფრაიბურგი | 1.95 | 1.65 |
| 12088 მიონხენგლადბახი-ჰამბურგი | 1.95 | 1.65 |
| 12089 ბაიერნი-მაინცი | 2.15 | 1.55 |
| 12090 ბოხუმი-ნიურნბერგი | 1.95 | 1.65 |
| 12091 ჰანოვერი-შტუტგარტი | 1.9 | 1.7 |
| 12092 შალკე-არმინია | 2.0 | 1.6 |
| 12146 ლივორნო-უდინეზე | 1.7 | 1.9 |
| 12147 სიენა-რომა | 1.8 | 1.8 |
| 12148 მესინა-ფიორენტინა | 1.7 | 1.9 |
| 12149 სამპდორია-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 12150 ლაციო-კალიარი | 1.8 | 1.8 |
| 12151 ატალანტა-რეჯინა | 1.7 | 1.9 |
| 12152 ბოლონია-ლეჩე | 2.0 | 1.6 |
| 12153 ბრეშა-პალერმო | 1.7 | 1.9 |
| 12154 კიევო-მილანი | 1.8 | 1.8 |
| 12155 ინტერი-იუვენტუსი | 1.8 | 1.8 |
| 12187 ბილბაო-რასინგი | 1.75 | 1.85 |
| 12188 ბეტისი-ვილიარეალი | 1.7 | 1.9 |
| 12189 ესპანიოლი-ატლეტიკო | 1.65 | 1.95 |
| 12190 ხეტაფე-ბარსელონა | 1.75 | 1.85 |
| 12191 დეპორტივო-სოსიედადი | 1.8 | 1.8 |
| 12192 მალაგა-ალბასეტე | 1.7 | 1.9 |
| 12193 ნუმანსია-სარაგოსა | 1.7 | 1.9 |
| 12194 ოსასუნა-სევილია | 1.7 | 1.9 |
| 12195 რეალი-ლევანტე | 2.0 | 1.6 |
| 12196 ვალენსია-მალიორკა | 1.8 | 1.8 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | კი | არა |
|---|---|---|
| 13002 ფულემი-ბლეკბერნი | 1.7 | 1.9 |
| 13003 ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერი | 1.75 | 1.85 |
| 13004 ბირმინგემი-ნორვიჩი | 1.9 | 1.7 |
| 13005 ბოლტონი-პორტსმუთი | 1.9 | 1.7 |
| 13006 ჩარლტონი-ჩელსი | 1.75 | 1.85 |
| 13007 საუთჰემპტონი-კრ. პალასი | 1.7 | 1.9 |
| 13008 სიტი-ასტონ ვილა | 1.9 | 1.7 |
| 13084 ვერდერი-დორტმუნდი | 1.95 | 1.65 |
| 13085 ვოლფსბურგი-ჰერტა | 1.65 | 1.95 |
| 13086 ჰანსა-ლევერკუზენი | 1.7 | 1.9 |
| 13087 კაიზერსლაუტერნი-ფრაიბურგი | 1.75 | 1.85 |
| 13088 მიონხენგლადბახი-ჰამბურგი | 1.95 | 1.65 |
| 13089 ბაიერნი-მაინცი | 1.75 | 1.85 |
| 13090 ბოხუმი-ნიურნბერგი | 1.9 | 1.7 |
| 13146 ლივორნო-უდინეზე | 1.95 | 1.65 |
| 13147 სიენა-რომა | 1.9 | 1.7 |
| 13187 ბილბაო-რასინგი | 1.6 | 2.0 |
| 13189 ესპანიოლი-ატლეტიკო | 1.95 | 1.65 |
| 13190 ხეტაფე-ბარსელონა | 1.8 | 1.8 |
| 13009 ნიუკასლი-ევერტონი | 1.9 | 1.7 |
| 13010 ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1.7 | 1.9 |
| 13011 ლივერპული-არსენალი | 1.95 | 1.65 |
| 13091 ჰანოვერი-შტუტგარტი | 1.7 | 1.9 |
| 13092 შალკე-არმინია | 1.9 | 1.7 |
| 13148 მესინა-ფიორენტინა | 1.7 | 1.9 |
| 13149 სამპდორია-პარმა | 1.9 | 1.7 |
| 13150 ლაციო-კალიარი | 1.7 | 1.9 |
| 13151 ატალანტა-რეჯინა | 1.9 | 1.7 |
| 13152 ბოლონია-ლეჩე | 1.65 | 1.95 |
| 13153 ბრეშა-პალერმო | 1.7 | 1.9 |
| 13154 კიევო-მილანი | 1.8 | 1.8 |
| 13155 ინტერი-იუვენტუსი | 1.65 | 1.95 |
| 13188 ბეტისი-ვილიარეალი | 1.65 | 1.95 |
| 13191 დეპორტივო-სოსიედადი | 1.65 | 1.95 |
| 13192 მალაგა-ალბასეტე | 1.9 | 1.7 |
| 13193 ნუმანსია-სარაგოსა | 1.7 | 1.9 |
| 13194 ოსასუნა-სევილია | 1.9 | 1.7 |
| 13195 რეალი-ლევანტე | 1.8 | 1.8 |
| 13196 ვალენსია-მალიორკა | 1.9 | 1.7 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაბრუნდება)

| | | |
|---|---|---|
| 14002 ფულემი-ბლეკბერნი | 1.7 | 2.2 |
| 14003 ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერი | 2.4 | 1.6 |
| 14004 ბირმინგემი-ნორვიჩი | [illegible] | [illegible] |
| 14005 ბოლტონი-პორტსმუთი | 1.6 | 2.4 |
| 14006 ჩარლტონი-ჩელსი | 2.4 | 1.6 |
| 14007 საუთჰემპტონი-კრ. პალასი | 1.75 | 2.1 |
| 14008 სიტი-ასტონ ვილა | 1.8 | 2.0 |
| 14009 ნიუკასლი-ევერტონი | 1.75 | 2.1 |
| 14010 ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 14011 ლივერპული-არსენალი | 2.0 | 1.8 |
| 14084 ვერდერი-დორტმუნდი | 1.65 | 2.3 |
| 14085 ვოლფსბურგი-ჰერტა | 1.7 | 2.2 |
| 14086 ჰანსა-ლევერკუზენი | 2.0 | 1.8 |
| 14087 კაიზერსლაუტერნი-ფრაიბურგი | 1.6 | 2.4 |
| 14088 მიონხენგლადბახი-ჰამბურგი | 1.8 | 2.0 |
| 14089 ბაიერნი-მაინცი | 1.3 | 3.0 |
| 14090 ბოხუმი-ნიურნბერგი | 1.75 | 2.1 |
| 14091 ჰანოვერი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 14092 შალკე-არმინია | 1.6 | 2.4 |
| 14146 ლივორნო-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 14147 სიენა-რომა | 1.9 | 1.9 |
| 14148 მესინა-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 14149 სამპდორია-პარმა | 1.75 | 2.1 |
| 14150 ლაციო-კალიარი | 1.7 | 2.2 |
| 14151 ატალანტა-რეჯინა | 1.8 | 2.0 |
| 14152 ბოლონია-ლეჩე | 1.8 | 2.0 |
| 14153 ბრეშა-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 14154 კიევო-მილანი | 2.3 | 1.65 |
| 14155 ინტერი-იუვენტუსი | 1.9 | 1.9 |
| 14187 ბილბაო-რასინგი | 1.7 | 2.2 |
| 14188 ბეტისი-ვილიარეალი | 1.75 | 2.1 |
| 14189 ესპანიოლი-ატლეტიკო | 1.8 | 2.0 |
| 14190 ხეტაფე-ბარსელონა | 2.4 | 1.6 |
| 14191 დეპორტივო-სოსიედადი | 1.55 | 2.5 |
| 14192 მალაგა-ალბასეტე | 1.7 | 2.2 |
| 14193 ნუმანსია-სარაგოსა | 1.9 | 1.9 |
| 14194 ოსასუნა-სევილია | 1.8 | 2.0 |
| 14195 რეალი-ლევანტე | 1.3 | 3.0 |
| 14196 ვალენსია-მალიორკა | 1.35 | 2.9 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15002 | ფულემი-ბლეკბერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15003 | ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15004 | ბირმინგემი-ნორვიჩი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15005 | ბოლტონი-პორტსმუთი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15006 | ჩარლტონი-ჩელსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15007 | საუთჰემპტონი-კრ. პალასი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15008 | სიტი-ასტონ ვილა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15009 | ნიუკასლი-ევერტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15010 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15011 | ლივერპული-არსენალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15084 | ვერდერი-დორტმუნდი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15085 | ვოლფსბურგი-ჰერტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15086 | ჰანსა-ლევერკუზენი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15087 | კაიზერსლაუტერნი-ფრაიბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15088 | მიონხენგლადბახი-ჰამბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15089 | ბაიერნი-მაინცი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15090 | ბოხუმი-ნიურნბერგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15091 | ჰანოვერი-შტუტგარტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15092 | შალკე-არმინია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15146 | ლივორნო-უდინეზე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15147 | სიენა-რომა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15148 | მესინა-ფიორენტინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15149 | სამპდორია-პარმა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15150 | ლაციო-კალიარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15151 | ატალანტა-რეჯინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15152 | ბოლონია-ლეჩე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15153 | ბრეშა-პალერმო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15154 | კიევო-მილანი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15155 | ინტერი-იუვენტუსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15187 | ბილბაო-რასინგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15188 | ბეტისი-ვილიარეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15189 | ესპანიოლი-ატლეტიკო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15190 | ხეტაფე-ბარსელონა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15191 | დეპორტივო-სოსიედადი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15192 | მალაგა-ალბასეტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15193 | ნუმანსია-სარაგოსა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15194 | ოსასუნა-სევილია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15195 | რეალი-ლევანტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15196 | ვალენსია-მალიორკა | 3.0 | 2.8 | 2.0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11002 | ფულემი-ბლეკბერნი | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11003 | ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერი | 7.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.6 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.5 |
| 11004 | ბირმინგემი-ნორვიჩი | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11005 | ბოლტონი-პორტსმუთი | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11006 | ჩარლტონი-ჩელსი | 8.0 | 10.0 | 20.0 | 9.0 | 4.6 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.4 |
| 11007 | საუთჰემპტონი-კრ. პალასი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11008 | სიტი-ასტონ ვილა | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11009 | ნიუკასლი-ევერტონი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11010 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11011 | ლივერპული-არსენალი | 4.6 | 10.0 | 20.0 | 5.3 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.4 |
| 11084 | ვერდერი-დორტმუნდი | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11085 | ვოლფსბურგი-ჰერტა | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11086 | ჰანსა-ლევერკუზენი | 4.6 | 10.0 | 20.0 | 5.3 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.3 |
| 11087 | კაიზერსლაუტერნი-ფრაიბურგი | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11088 | მიონხენგლადბახი-ჰამბურგი | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11089 | ბაიერნი-მაინცი | 1.8 | 15.0 | 30.0 | 3.4 | 4.8 | 12.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11090 | ბოხუმი-ნიურნბერგი | 3.1 | 10.0 | 20.0 | 4.1 | 4.3 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.5 |
| 11091 | ჰანოვერი-შტუტგარტი | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.4 |
| 11092 | შალკე-არმინია | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11146 | ლივორნო-უდინეზე | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11147 | სიენა-რომა | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.8 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.6 |
| 11148 | მესინა-ფიორენტინა | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11149 | სამპდორია-პარმა | 2.9 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11150 | ლაციო-კალიარი | 2.9 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11151 | ატალანტა-რეჯინა | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11152 | ბოლონია-ლეჩე | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11153 | ბრეშა-პალერმო | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11154 | კიევო-მილანი | 6.0 | 10.0 | 20.0 | 7.0 | 4.4 | 3.6 | 20.0 | 10.0 | 2.7 |
| 11155 | ინტერი-იუვენტუსი | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11187 | ბილბაო-რასინგი | 2.9 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11188 | ბეტისი-ვილიარეალი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11189 | ესპანიოლი-ატლეტიკო | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11190 | ხეტაფე-ბარსელონა | 7.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.6 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.5 |
| 11191 | დეპორტივო-სოსიედადი | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11192 | მალაგა-ალბასეტე | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11193 | ნუმანსია-სარაგოსა | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11194 | ოსასუნა-სევილია | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11195 | რეალი-ლევანტე | 1.9 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11196 | ვალენსია-მალიორკა | 1.9 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |

## საქართველოს XV ჩემპიონატი

**პირველი წრე. მეორე ტური**
**26 ნოემბერი. ასკ-ს დარბაზი**

**სტუ-შევარდენი 34:24 ბათუმი**
სტუ-შევარდენი: ქობელაშვილი (გაიტანა 7 გოლი), რუსია (6)
ბათუმი: ნ.მეხრიშვილი (9), კაცაძე (6)

**ქარიშხალა 27:27 საუ-მამული**
ქარიშხალა: საჯაია (8), ქირია (7)
საუ-მამული: გ. კობახიძე (10), შათირიშვილი (6)

**ხ/კ თბილისი 31:31 ქუთაისი**
თბილისი: გელაშვილი (13), ფორაქიშვილი (5), სიორიძე (5)
ქუთაისი: ბოყოჩაძე (16), გობეჯიშვილი (5)

**თელავი 31:19 ჭაბუკები**
თელავი: ჯიშკარიანი (11), ნატროშვილი (10)
ჭაბუკები: მსხვილიძე (8), მელქოშვილი (7)

**სამტრედია 28:23 გორი**
სამტრედია: ჯოჯუა (9), ჭანტურია (6), ქავზინაძე (6)
გორი: მშვიდობაძე (9), გურაბანიძე (4), ქარქაშაძე (4)

# ხელში ნაღმი აგვიფეთქდა

**წინა** „სარბიელში" ტყუილად არ გვიხსენებია მოსალოდნელი მძიმე თამაშები. მართალია, გუშინ ოთხიდან ორ მატჩში ცუდის მოლოდინი არ გამართლდა, მაგრამ სხვა ორში...

მსაჯობა, ანუ მაღალი დონის მსაჯების არყოლა, ყოველთვის იყო და საუბედუროდ, ალბათ მომავალშიც დარჩება ჩვენი ხელბურთის უმთავრეს თუ არა, უზარმაზარ თავისტკივილად მაინც. რა ვქნათ, არავის ულირს ათ, თუნდაც ორ-სამჯერ მეტ ლარად თავიანთი კეთილ-კარგების მოკითხვა. ამიტომაც არბიტრების დეფიციტი კი არა, ულრმესი კრიზისი გვაქვს და საუბედუროდ, ისე ჩანს, მუდამ გვექნება. სამწუხაროდ, ესაა ნაღმი, რომელიც ნებისმიერ მომენტში შეიძლება აფეთქდეს მეტად უსიამოვნო შედეგით. აკი გუშინ იფეთქა კიდეც.

კი ბატონო, მსაჯები ცოტანი არიან, თანაც თამაშისას არცთუ იშვიათად ცდებიან, მაგრამ რას ვიზამთ, უნდა მივიღოთ ის, რაც გვაქვს, სხვა რა გზაა. და ნუ ეძებთ მათ შეცდომებში მწვრთნელ-აღმზრდელები ტენდენციურობას, რომელიმე გუნდის მიმართ სიმპათიას, რასაც არანორმალური გაღიზიანება მოსდევს — ჩემი გუნდის თამაშებზე დარბაზში არ დაგინახოო.

გუშინდელ მატჩებში თამაშზე მეტი ემოცია იყო, მეტ-ნაკლებად ზღვარს გადაცილებულიც და, სამწუხაროდ, ამაზრზენი შესახედიც.

ჯერ ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სკოლის „ქარიშხალასა" და „საუ-მამულის" დაპირისპირება იყო, პრინციპულიც და ბოლო წუთამდე დაძაბულიც. თავიდან სკოლელები გავიდნენ წინ, „მამულმა" გაუთანაბრა, მერე ისევ „ქარიშხალა" გაიჭრა, მაგრამ 18-20 წლის ბიჭებმა ხუთბურთიან უპირატესობას ვერ მოუარეს და რამდენიმე წუთში გაფლანგეს. თანაც რა დროს, როცა მსაჯებმა მამულელების მწვრთნელს ზედმეტი ემოციურობისთვის წითელი ბარათი უჩვენეს, რასაც დასჯილის მხრიდან, ცხადია, არანაკლებ ემოციური პროტესტი მოჰყვა.

მაგრამ ეს არაფერი, თურმე მხოლოდ „ჟურნალი" ყოფილა, „კინო" წინ იყო.

შემდეგ მოედანზე გავიდნენ ჩემპიონობაზე პრეტენზიის მქონეები — „თბილისი" და „ქუთაისი". ჯერ ქუთათურებმა იძალეს — 2:0, 4:3, მაგრამ „თბილისმა" მალე გაათანაბრა, მერე კი წინაც გავიდა და ტაიმი ოთხი ბურთით მოიგო — 15:11. შესვენების შემდეგ სხვაობა ხუთ გოლამდე გაიზარდა — 22:17 და გამარჯვებულის ვინაობაც თითქოს ეჭვს აღარ იწვევდა, მაგრამ ქუთაისელებს [illegible] ბოყოჩაძის წინამძღოლობით ფარხმალი არ დაუყრიათ და საფინალო სასტვენამდე ოთხი წუთით ადრე ჩამორჩენა გაუბათილეს — 29:29.

ბოლო წუთზე ლევან გელაშვილის ზუსტმა ცაციამ კიდევ ერთხელ დააწინაურა „თბილისი", მაგრამ სამი წამიღა რჩებოდა, როცა ქუთაისელ გრიგოლ გაბედავას მორიგი გარღვევა მცველებმა წესის დარღვევით შეაჩერეს. ერთმა მსაჯმა ცხრამეტრიანი საჯარიმო დააფიქსირა, მეორემ, უფრო ახლოს მდგომმა, „პენალტი" დანიშნა. ბოყოჩაძემ შვიდი მეტრიდან ზუსტად ტყორცნა და მატჩიც ფრედ დასრულდა. მაგრამ მსაჯების შეუთანხმებლობით და მათი აზრით, არასწორი გადაწყვეტილების გამო „თბილისის" მწვრთნელები აღშფოთდნენ და ატყდა გაწევ-გამოწევა, რაც ათ წუთზე მეტხანს გაგრძელდა. მადლობა ღმერთს, ეს კოშმარი, მოთამაშეთა ჩაურევლობით, ხელჩართულ ჩხუბში არ გადაზრდილა.

ინციდენტზე ცხადია, იმსჯელებს საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის ხელმძღვანელობა, მაგრამ რა რეაგირებაც არ უნდა მოყვეს, ფაქტი მოხდა და ნორმალურად დაწყებულ ჩემპიონატს უმუქესი ჩრდილი მიადგა.

**გია ახალაძე**



**სატურნირო ვითარება**

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 6 | 1 | 0 | 209:169 | 13 |
| სტუ-შევარდენი | 6 | 0 | 1 | 222:165 | 12 |
| ქუთაისი | 5 | 1 | 1 | 240:205 | 11 |
| საუ-მამული | 4 | 1 | 2 | 275:188 | 9 |
| თელავი | 4 | 0 | 3 | 189:168 | 8 |
| ქარიშხალა | 3 | 1 | 2 | 184:174 | 7 |
| ჭაბუკები | 2 | 0 | 4 | 140:191 | 4 |
| სამტრედია | 1 | 1 | 5 | 170:230 | 3 |
| ბათუმი | 0 | 1 | 6 | 174:230 | 1 |
| გორი | 0 | 0 | 7 | 149:232 | 0 |



# საგარეჯომ გარეთ გაიხედა

## ზვიადაურებიც და ზეევიც?

*მომავალი სეზონიდან ევროსარბიელზე ქართული ძიუდო საკლუბო დონეზეც გამოვა. ახლახან შექმნილი „საგარეჯო" პირველივე წელს სერიოზული ამბიციებით აჭიდავდება და ბოლო წლების ლამის უცვლელ ევროპის ჩემპიონს, ვლადიმერ პუტინის სიამაყეს, სანქტ-პეტერბურგის „იავარა ნევას" ოქროს ხანას დაასრულებს.*



[illegible] ფოტო

ჯარჯი ზვიადაურს გული „საგარეჯოსკენ" მოუწევს

**შემადგენლობაზე** თვალის ერთი შევლებითაც მიხვდებით „საგარეჯოს" ძალას. ქართულ კლუბში აქამდე უცხოეთში გაბნეული საქართველოს ნაკრების ყველა ძიუდოისტი შეიკრიბა და სულ მალე მსოფლიოს ორი ვარსკვლავიც დაემატებათ.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ჯარჯი ზვიადაურია. რამდენიმე დღის წინ ინტერვიუში აკი თავადვე გვითხრა, სანაკრებო დონეზე ვერა, მაგრამ საკლუბოზე ალბათ ჩემი სამშობლოს ღირსებას დავიცავო. გუშინ ეს სურვილი ერთხელაც დაადასტურა: „ჩემთვის ქართველი გულშემატკივრის თვალწინ ჭიდაობა და მათთვის სიხარულის მინიჭება უდიდესი ბედნიერება იქნება. „საგარეჯოს" სახელით ევროპული ძიუდოს უმაღლესი ჯილდოსთვის ბრძოლაში მეც სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას. ათენის ოლიმპიადის დასრულებისთანავე წლევანდელი ბრინჯაოს პრიზიორ გერმანულ კლუბ „აბენსბერგისგანაც" მივიღე შემოთავაზება, მაგრამ მასზე არც კი ვფიქრობ. ახლა მთავარია, ქართულ-ბერძნული მოლაპარაკება ჩვენთვის სასურველად დასრულდეს."

თუ ჯარჯი ზვიადაურის „საგარეჯოში" წამოსვლის ამბავი აქამდეც ვიცოდით, 100 კილოგრამში ებრაელი მსოფლიოს ჩემპიონის არიელ ზეევის ვარიანტზე ალბათ ვერც კი ვიოცნებებდით. არადა, როგორც კლუბის დამფუძნებელ პარლამენტარ გია ნაცვლიშვილისგან გუშინ შევიტყვეთ, ეს საქმე უკვე სანახევროდ მოგვარებული ყოფილა.

„არიელ ზეევის თაობაზე ისრაელის ძიუდოს ფედერაციასთან და მის პირად მწვრთნელთან მოლაპარაკებები უკვე დავიწყეთ და არა მგონია, საწადელს ვერ მივაღწიოთ — გვითხრა ნაცვლიშვილმა — საბოლოო პასუხს მათგან დეკემბრის დასაწყისში მივიღებთ. ზეევით გაძლიერების უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ საჩემპიონო გუნდის კვალობაზე 100 კილოგრამში ცოტა გვიჭირდა, თუმც ლეგიონერის ჩამოყვანა იმასაც არ ნიშნავს, რომ მას ძირითადში ადგილი გარანტირებული ექნება. ეს უბრალოდ კონკურენციას გაზრდის. საჭიდაოდ კი ის ბიჭები გავლენ, კონკრეტული შეხვედრისთვის ყველაზე უკეთ რომ იქნებიან მზად. „საგარეჯოს" ერთადერთი მიზანი რუსული „იავარა ნევასთვის" პირველობის ჩამორთმევა იქნება."

საკლუბო ჩემპიონატის კენჭისყრა იანვრის დასაწყისში პარიზში გაიმართება და „საგარეჯოს" მეტოქეების ვინაობასთან ერთად პირველი ჯგუფური ეტაპის მასპინძელი ქალაქებიც გაირკვევა. თუ ჩვენი მოლოდინი გამართლდა და ევროპული ძიუდოს თავკაცებმა არჩევანი საქართველოზე შეაჩერეს, აპრილ-მაისში ზეევი, ზვიადაურები, ხერგიანი და სხვა ქართველი ვარსკვლავები სპორტის სასახლეში იჭიდავებენ, თუმც ჯერ მთავარი მაინც ზეევისა და ჯარჯის საკითხების ბოლომდე მოკვარახჭინებაა. წერტილის დასმის სავარაუდო დრო 2 დეკემბერია. ამ დღეს უნგრეთში ევროპის აბსოლუტური პირველობა ტარდება. იქ ჩასულ ისრაელისა და საბერძნეთის ძიუდოს ფედერაციების თავკაცებს საქართველოს ნაკრებისა და „საგარეჯოს" მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი და ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი დილარ ხაბულიანი შეხვდებიან.

**ოთარ მაღლაკელიძე**



[illegible] ფოტო

ებრაელ არიელ ზეევს თბილისშიც უჩემპიონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროლიგა

## პირველი ჯგუფური ეტაპი. IV ტური. 24-25 ნოემბერი

# ბოისამ სიენას შველა



„ჩვენ ვიცოდით, რომ თუ სიენას“ დამარცხება გვინდოდა, ყველაფერი უნდა გაგვეღო და ეს მოვახერხეთ კიდეც. ვფიქრობ, დღეს ვინც მოედანზე იყო, ყველამ იმაზე მეტი გააკეთა, რასაც მისგან მოელოდნენ. ეს იყო ერთადერთი გზა გამარჯვებისკენ“ — უთხრა მატჩის შემდეგ ჟურნალისტებს ოლიმპიელთა ჩვენებურმა კაპიტანმა ვლადიმერ ბოისამ.

და ცამდე მართალიც იყო — ლიუბლიანას მეტად სერიოზული მეტოქე, ევროლიგის ბოლო ორი ოთხთა ფინალის მონაწილე „სიენა“ სტუმრობდა და მასპინძლებს მართლაც მაქსიმუმი რომ არ გაეღოთ, მარცხი არ ასცდებოდათ.

ევროლიგის მანამდელ მატჩებში ვერაფრით გამორჩეულმა მანუჩარ მარკოიშვილმაც კი კარგად ითამაშა. მართალია, მხოლოდ 4 ქულა ჩააგდო, მაგრამ დაცვაში იდგა კლდესავით. თან ის ოთხი ქულაც კრიტიკულ მომენტში მიჯრით შემატა თავის გუნდს და ამოსუნთქვის საშუალება მისცა. „მანომ“ 18 წუთი ითამაშა, რაც მისთვის ევროლიგაში ოლიმპიური რეკორდია.

აღსანიშნავია, რომ მარკოიშვილს სიენელთა მაკედონიელი უკანახაზელის ვრბიცა სტეფანოვის წინააღმდეგ მოუწია თამაშმა და ორმაგად სასიამოვნოა, რომ სწორედ ეს მატჩი გამოდგა მანუჩარისთვის წლევანდელ ევროლიგაში საუკეთესო.

არადა, ანგარიში სწორედ სტეფანოვამა გახსნა საჯარიმო ხაზიდან, თუმც მაკედონიელს მალევე გამოეხმაურა ვლადიმერ ბოისა და „ოლიმპიაც“ დაწინაურდა. სიენელებმა მალე „იპოვეს“ თამაში და მათი ამერიკელი ფორვარდის ბასტი ტორნტონის ქულებით გვარიანად გაიჭრნენ — 17:8.

მეორე მეოთხედი სტუმართა ოთხქულიანი უპირატესობით განახლდა, თუმც იმავ ბოისამ, ვისაც ხელს ასევე მაკედონიელი დავორ ბოჩევსკი აშველებდა, ჩამორჩენა ქულამდე შეამცირა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ საწყის სამ მეოთხედში ბოისა მეტად აქტიური გახლდათ და ოლიმპიელებმა მატჩის მსვლელობის გარდატეხა სწორედ მისი ქულების წყალობით მოახერხეს. საბოლოოდ ვოვას 16 ქულა მოუგროვდა, ხოლო მის მიერ მოხსნილი 7 ბურთი უმეტესია ოლიმპიელთაგან.

თუმც რომ არა ანდრეს როდრიგესი, „ოლიმპია“ ალბათ ვერ გაიმარჯვებდა, რაკი მესამე ათწუთეულში მანუჩარ მარკოიშვილის მიერ 9 ქულამდე გაზრდილი ლიუბლიანელთა უპირატესობა სიენელებმა თვალის დახამხამებაში გააბათილეს და ბოლო მოეთხედში მოსაგებად მიაწვნენ მასპინძლებს. მატჩის მიწურულს როდრიგესმა მნიშვნელოვანი ჩაჭრა გაახერხა, მეტოქეს ჯარიმაც აჰკიდა და „ოლიმპია“ მოწინაალმდეგესთვის მიუწვდომელი გახადა.

„ჩვენ უფრო მოტივირებულნი ვიყავით და გამარჯვებაც ალალად მოვიპოვეთ. მინდა, ჩემი გუნდის ყველა წევრს მადლობა გადავუხადო და მივულოცო ეს გამარჯვება, რომელიც სატურნირო თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი იყო და მორალურითაც. გამაოცა ანდრეს როდრიგესმა, თუმც მომავალ მატჩში „როდრიგესი“ სხვა ვინმე იქნება“ — თქვა ნამატჩევს ოლიმპიელთა თავკაცმა საშო ფილიპოვსკიმ.

ამ გამარჯვებით „ოლიმპიამ“ საქმე გამოიკეთა და „სიენასთან“, „ჟალგირისთან“ და „სკავოლინისთან“ მესამე ადგილს იყოფს B ჯგუფში.

ტურის სენსაციაც B ჯგუფში მოხდა: წინა ტურში „ოლიმპიასგან“ კაუნასში ძლეულმა „ჟალგირისმა“ კატალონიაში „ბარსელონა“ დასცა. ბალტიელებმა კარგი სიურპრიზი მოუმზადეს „ბარსას“ ვარსკვლავებს და პირტიტველა ლიტველებით ისე ნელ-ნელა მოგუდეს, ექსჩემპიონი ალბათ ახლაც ვერ მოსულა აზრზე.

ამავე ჯგუფში დაფიქსირდა ყველაზე მრისხანე ანგარიშიც. „მაკაბიმ“ თელ ავივში ბომბები არ დააყარა „სკავოლინის“, თორემ ქულები რამდენიც გინდა — 123:73 და ათქულიან თამასას აცდენილი შვიდი მაკაბელი.

ევროლიგაში ჯერაც უძლეველი სამი გუნდიდან ერთ-ერთი „მაკაბია“. რუსულმა ცსკა-მ სტამბოლში „ულქერი“ დააჩოქა და წაუგებლად მიიწევს მოსკოვში გასამართი ოთხთა ფინალისკენ. მესამე ყოჩი კი „კლიმამიო“ გახლავთ, რომლის სახელიც ალბათ ბევრს არაფერს გეუბნებათ. იტალიური გუნდების ამბავი ხომ იცით, სახელებს წინდებივით იცვლიან. ჰოდა, „სკიპერი“ რომ გაიქცა, ახლა „კლიმამიომ“ დაუქნია ხელი ბოლონიის გუნდს და შარშანდელი ევროლიგის ფინალისტმაც ამ ახალი სპონსორის სახელი დაირქვა. „სკიპერმა“ სახელწოდება კი გამოცვალა, მაგრამ ძალმოსილება ძველებურად მოსდევს — 4 მატჩიდან წაუგებლად ლიდერობს A ჯგუფს.

**ირაკლი ბერტაია**

### A ჯგუფი

**ციბონა 85:77 ესტუდიანტესი**
ციბონა: პოპოვიჩი (39), კრსტიჩი (13)
ესტუდიანტესი: გარსისი (25), ლონბარი (14).

**რეალი 76:62 ოლიმპიაკოსი**
რეალი: ბალოკი (21), სონკო (17)
ოლიმპიაკოსი: პოსტელი (13), ზორონსკი (13)

**პროკომი 67:73 ეფესი**
პროკომი: იაგოდნიკი (21), ვოიჩიკი (14)
ეფესი: პრკაჩინი (15), კუქო (14)

**კლიმამიო 103:91 პარტიზანი**
კლიმამიო: ვუიანიჩი (23), დუგლასი (17)
პარტიზანი: მილოევიჩი (19), ავდალოვიჩი (18)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კლიმამიო | 4 | 4 | 0 | +51 | 8 |
| რეალი | 4 | 3 | 1 | +26 | 7 |
| ეფესი | 4 | 3 | 1 | -4 | 7 |
| ციბონა | 4 | 2 | 2 | +2 | 6 |
| პროკომი | 4 | 2 | 2 | -10 | 6 |
| ესტუდიანტესი | 4 | 1 | 3 | -17 | 5 |
| ოლიმპიაკოსი | 4 | 1 | 3 | -17 | 5 |
| პარტიზანი | 4 | 0 | 4 | -31 | 4 |

### B ჯგუფი

**აეკ 89:63 ვილერბანი**
აეკ: ხაძისი (27), ლოლისი (18)
ვილერბანი: ბეშოქი (13)

**ოლიმპია 79:74 სიენა**
ოლიმპია: ბოისა (31 წუთი, 16 ქულა, 7 მოხსნა), მარკოიშვილი (18 წუთი, 4 ქულა, 2 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 პასი)
სიენა: ტორნტონი (20), მაიერსი (11)

**ბარსელონა 88:102 ჟალგირისი**
ბარსელონა: ლოვერსკი (19), ფოდიროკო (16)
ჟალგირისი: გინევიჩიუსი (24), ტიმინსკასი (21)

**მაკაბი 123:73 სკავოლინი**
მაკაბი: ბასტონი (25), პარკერი (18)
სკავოლინი: სმიტი (23)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 4 | 4 | 0 | +87 | 8 |
| ბარსელონა | 4 | 3 | 1 | +40 | 7 |
| სიენა | 4 | 2 | 2 | +25 | 6 |
| ოლიმპია | 4 | 2 | 2 | -13 | 6 |
| ჟალგირისი | 4 | 2 | 2 | -18 | 6 |
| სკავოლინი | 4 | 2 | 2 | -50 | 6 |
| აეკ | 4 | 1 | 3 | -15 | 5 |
| ვილერბანი | 4 | 0 | 4 | -56 | 4 |

### C ჯგუფი

**პანათინაიკოსი 72:87 სკაილაინერსი**
პანათინაიკოსი: მიდლტონი (14)
სკაილაინერსი: ელისი (21)

**ტაუ 73:76 ბენეტონი**
ტაუ: კალდერონი (16), დავიდი (14)
ბენეტონი: ბულერი (22), შიშკაუსკასი (17)

**პო ორტეზი 75:97 უნიკახა**
პო ორტეზი: ჩატმანი (15), ლუქსი (12)
უნიკახა: ბრემერი (21), როდრიგესი (20)

**ულქერი 81:87 ცსკა**
ულქერი: ჟუკაუსკასი (13), ერდოგანი (12)
ცსკა: ჰოლდენი (18), ანდერსენი (15)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 4 | 4 | 0 | +23 | 8 |
| ბენეტონი | 4 | 3 | 1 | +41 | 7 |
| უნიკახა | 4 | 2 | 2 | +21 | 6 |
| ტაუ | 4 | 2 | 2 | +2 | 6 |
| პანათინაიკოსი | 4 | 2 | 2 | -5 | 6 |
| ულქერი | 4 | 1 | 3 | +9 | 5 |
| სკაილაინერსი | 4 | 1 | 3 | -44 | 5 |
| პო ორტეზი | 4 | 1 | 3 | -47 | 5 |

# NBA რეგულარული ჩემპიონატი



REUTERS

მინესოტელი კევინ გარნეტი და ინდიანელი ჯამაალ ტინსლი ბურთისთვის შემხტარან

# დევს ახალი თავი ამოუვიდა

— 25 ნოემბერი —

**ინდიანა 106:102 მინესოტა**
ინდიანა: კროშერი (25 ქულა, 11 მოხსნა), ტინსლი (20 ქულა, 14 პასი, 7 მოხსნა, 5 ჩაჭრა), ფ. ჯონსი (17)
მინესოტა: გარნეტი (23), ჰადსონი (19), შჩერბიაკი (18), სპრიუელი (16)

**კლიპერსი 101:88 ნიუ ჯერსი**
კლიპერსი: იარიჩი (23), ბრენდი (17), მეჯიტი (16)
ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (24), ბესტი (16)

ყველას რომ ეგონა, მაყურებლების გამლახავი და ნბა-სგან დაჯარიმებული ინდიანელები ახლა კი ჩაყვინთავენ ცხრილის ფსკერზეო, ვერ მიერთვათ. რონ არტესტის მთელი სეზონით, ჯერმენ ონილის 25 და სტივ ჯეკსონის 30 თამაში მოკვეთით გულდამძიმებული ინდიანელები თავადაც ძნელად წარმოიდგენდნენ, რომ სამი ლიდერის და კიდევ არაერთი წვრილი მოთამაშის გამოკლების შემდეგ ასე გადასარევად თუ იბურთავებდნენ.

„ცხოვრება ჩვენთვის არც ისე მუქ ფერებში იხატება, როგორც ამ ოთხი დღის წინ“ — ამბობს აქამდე სათადარიგო, ლიდერების არყოფნაში კი თავად გალიდერებული ოსტინ კროშერი, ვინაც ხუთშაბათ საღამოს მძლავ „მინესოტას“ 25 ქულა ჩაუგდო და 11 ბურთი მოუხსნა. ნაკლები ჩააგდო, მაგრამ „პეისერზი“ კიდევ მეტად ასარგებლა გამთამაშებელმა ჯამაალ ტინსლიმ, რომელმაც არცთუ ბრწყინვალე კარიერის ალბათ ყველაზე ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა და ერთად აჯობა „მინესოტას“ ორ გამთამაშებელს — სემ კასელსა და ტროი ჰადსონს. არადა, ნბა-ში რომ იკითხოთ, ამ ტინსლის საზოგადოდ ბევრად სჯობს ჰადსონი, სემ კასელზე რომ არაფერი ვთქვათ.

ამ გამარჯვებით „ინდიანამ“ აღმოსავლეთ კონფერენციაში პირველობა შეინარჩუნა და მეტოქეებსაც კიდევ უფრო მეტი მოკრძალება ჩაუნერგა.

**კოტე ყორშია**



# ფედერაცია დარჩა. სატკივარიც

# მძლეოსნობას ძველი პრეზიდენტი ჰყავს

**საქართველოში** რომ მძლეოსნობა არ ყვავის, ეს არახალია. ის კი არა, ბევრს უკვირს, ამ პირობებში ოლიმპიადაზე სამი საგზურის დაჯავშნა როგორ მოხერხდაო. მართალია, არც იულია დუბინას, არც დავით ილარიანსა და არც მარიამ ქევხიშვილს ათენში სასწაული არ მოუხდენიათ, მაგრამ ლიცენზიასაც ხომ მოპოვება უნდა.

ეს ისე, წინასიტყვაობად: გუშინ კი სპორტული ფედერაციების გახშირებული ყრილობები მძლეოსნობასაც კარს მოადგა. პირველ რიგში ის ვთქვათ, რომ მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტად კვლავ თამაზ მდინარაძე დარჩა, რომელსაც არც ჰყოლია კონკურენტი. არ შეცვლილა პირველი ვიცე-პრეზიდენტი და გენერალური მდივანიც — შესაბამისად, ყარამან საბანაშვილმა და მაია აზარაშვილმა პოსტი შეიანრჩუნეს. მეორე ვიცე-პრეზიდენტობისთვის კი ვასილ ბერიშვილმა გივი ბედოშვილს აჯობა.

ბუნებრივია, ყრილობაზე ქართული მძლეოსნობის გასაჭირზეც ითქვა. სახელმწიფოს მძლეოსნობა ობლად ჰყავს მიტოვებული და საერთოდ არ ახსოვს; „ეროვნულ“ სტადიონზე სარბენი ბილიკებია შესაკეთებელი, რასაც 300 000 ლარი სჭირდება. „ლოკომოტივის“ სტადიონს კი საერთოდ არ აღირსეს ბილიკებიო — ასეთი იყო ყრილობაზე გამომსვლელთა მთავარი სატკივარი. გამოსავალს კი ისევ სახელმწიფო სტრუქტურებში ეძებენ, რამენაირად უნდა დავაინტერესოთ მთავრობა, პეკინის ოლიმპიადამდე ოთხწლიან ციკლში რაღაც უნდა გაკეთდეს, თორემ მძლეოსნობა დაგვეღუპებაო.

**ილია ნანობაშვილი**

# კოკაიმ წოდება დაკარგა
## ასასიორუმ ცისფერი დრაკონის ლეგენდა შვა

*მაკუტიში კარგა ხნის სახელდაგდებული ქართველი სუმოისტი ლევან ცაგურია წლის ბოლო ბაშოს მისთვის უჩვეულო, უარყოფითი ბალანსით ასრულებს, რაც სამომავალოსეზონოდ წოდების ჩამოქვეითებად დაუჯდება. ეს რომ თავიდან აეცილებინა, თხუთმეტტურა ტურნირში რვაჯერ მაინც უნდა ემარჯვა, კოკაიმ კი შანსი ჯერ კიდევ მეთორმეტე ტურში დაკარგა, როცა ზორბა და უგამოცდილეს კოტონოვაკასთან მერვე მარცხი იწვნია*

ის წაგება „შავი ზღვისთვის" ამავდროულად ზედიზედ მესამეც იყო და თუმც მომდევნო შეხვედრა სატურნირო თვალსაზრისით ბევრს არაფერს ცვლიდა, ჩვენებური ხელს მაინც ვერ ჩაიქნევდა, რადგან აქამდე შექმნილი იმიჯის შენარჩუნება მართებდა. გუშინ სამბრძოლიანი უიღბლო სერია კოკაიმ მასზე ცოტა უკეთესი შედეგის მქონე ბუიუძანასთან შეწყვიტა და ისიც მინუსებში გადაიყვანა, თან პირად შეხვედრებში 2:1 დაწინაურდა, დღეს კი ორგზის მლეულ ექსკომუსუბი ივაკიამას დაეჭიდება.

იმპერატორის თასისა და 10 მილიონი იენისთვის (95 ათასი ამერიკული დოლარი) მებრძოლთა სიას კი, რაღა თქმა უნდა, ისევ „ცისფერი დრაკონი" ასასიორუ პირველკაცობს. 24 წლის იოკოძუნას მეცხრე ტრიუმფს ალბათ ვეღარავინ შეეცილება.

თვრამეტი წლის წინ ლეგენდარულმა ტიონოფუძიმ, იგივე ოიაკატა კოკონოემ სეზონის ექვსი ბაშოდან ხუთში იჩემპიონა და მას შემდეგ ასეთი რამ ვერავის მოუხერხებია. რეკორდის მოხსნამდე ასასიორუს ერთი ნაბიჯილა აკლია.

ბაშოს მეცამეტე დღეს დიდმა მონღოლმა მაკუტის უმძიმესი სუმოტორი, 182-კილოგრამიანი ყოფილი ოძეკი მიაბიამაც დასცა, სულ რაღაც 10 წამში და დღეს გამოცდილ ოძეკი ტიოტაიკაის დაეჭიდება. აქამდე ასასიორუ მას ჩვიდმეტჯერ შეხვედრია და თორმეტჯერ წაუქცევია, თუმც იმ ხუთი მარცხიდან ბოლო სექტემბრის ბაშოზე იწვნია.

შესაძლოა, ასასიორუმ თასი დღესვე დაიბევოს. საამისოდ თავად ხომ უნდა იმარჯვოს, თან ოძეკი კაიომ სეკივაკე ვაკანოსატოს უნდა აჯობოს. სწორედ 28 წლის 157-კილოგრამიანი ვაკანოსატოა „ცისფერი დრაკონის" უახლოესი მდევარი.

ვაკანოსატო — კაიოს შეჭიდება აქამდე 23-ჯერ მომხდარა და ფუკუოკას პრეფექტურის მკვიდრ კაიოს უფრო მეტჯერ უყოჩაღია. ვაკანოსატო კი ალბათ არც ახლა დაიხევს უკან. მიმდინარე ბაშოზე უკვე სამჯერ დამარცხდა და სანატრელი იოკოძუნას სახელის მოსაპოვებლად ვიდრე თეორიული შანსი მაინც არ დაუკარგავს, ცდას არ დააკლებს.

თეორული იმედის ამარაღა დარჩა სამი ათგამარჯვებიანი დიდკაციც: აღმოსავლეთის მეცამეტე მაეგასირა კაიხო, დასავლეთის მეათე მაეგასირა კოტოოსიუ და დასავლეთის პირველი მაეგასირა ხაკუხო, რომელიც ერთადერთია, ამ ბაშოზე ასასიორუ რომ დაუჩოქებია. ორი დღის წინ ეს 19 წლის მონღოლი ვუნდერკინდი „დრაკონთან" ერთად თასის უმთავრეს ფავორიტადაც მიიჩნეოდა, მაგრამ როგორც მერე გამოჩნდა, ამხელა გამარჯვებები მისთვის მაინც ადრეა.



**ოთარ მაღლაკელიძე**

# ცეცხლოვანი გოგონები



გაზღვისებულან და მალიორკულ მზეს მიფიცხებიან დიუსელდორფული სა-ამერიკულფეხბურთ-ო გუნდის, „რაინ ფაიას" (Rhein Fire) შემგულიანებელ-შემსექსიანებელი გოგონები, რომელთა პროფესიასაც ინგლისურ ენაზედ ჩირლიდერობას უხმობენ. ჰოდა, გასრულებულა მომქანცველი სეზონი და მარგარეტი, ანგელა, ლინდა, შტეფი, მირიამი, რებესა და მონიკა დამსახურებულ არდადეგებს ახლა იქ ატარებენ, სადაც მათ მიერ ახურუშებულ ხვადრიონს მათთან დასახლოვებლად ხელს აღარაფერი შეუშლის. თუმცა გოგონები გამორჩენის გარეშე არც აქ რჩებიან — ცხელ ქვიშაზე ბარაქოსნულად მოტიტვლებულნი ფოტოობიექტივებს რომ ალაგზნებენ, ეს კადრები თურმე საგაისო სეზონის კალენდარში შევა. ცალკე რომ არის გადაღებული, ეგ მონიკაა, თუმცა წლის საუკეთესო ჩირლიდერად ამერიკული ფეხბურთის გერმანელ ფანებს ანგელა (მწკრივში მარცხიდან მეორე) მიუჩნევიათ. ამ ანგელას უდიდესი ოცნება ის ყოფილა, სადმე ველურ ტყეში კენტად მავალი ლოსს გადაეყაროს. მალიორკაში ის ლოსს ალბათ ვერა, მაგრამ კენტი ლოსისებრ ამძუვნებულ ბიჭებს კი ბლომად შეხვდება.





## ფეხბურთი

### ინგლისი
I ლიგა. XIX ტური
ჩელტენემი 0:2 დარლინგტონი
საუთენდი 1:1 გრიმსბი

### გერმანია
II ბუნდესლიგა. XV ტური
ალენი 0:1 ობერჰაუზენი
დუისბურგი 1:1 აინტრახტი
ტრირი 0:0 კიოლნი
ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XVIII ტური
ზანკტ პაული 1:1 ჰერტა (მ)
დიუსელდორფი 1:3 ვერდერი (მ)
ოსნაბრიუკი 3:2 კილი
სამხრეთ რეგინალლიგა XVII ტური
ფიონხტი 2:0 მიუნხენი (მ)
ნოტინგენი 2:3 ვეჰენი

### ავსტრია
I დივიზიონი. XX ტური
ალტახი 2:1 რიდი
კაპფენბერგი 1:0 ლეობენი
კერნტენი 1:0 გრატკორნი
ლინცერი 3:3 აუსტრია (ლ)
ვიორგლი 1:2 უნტერზიბენბრუნი

### შვეიცარია
ჩელენჯლიგა. XVI ტური
ბოლში 2:0 ბადენი

### იტალია
სერია B. XV ტური
ემპოლი 2:0 კატანძარო
სერია C/B. XII ტური
სორა 1:0 ჯულიანოვა

### საფრანგეთი
II დივიზიონი. XVII ტური
ანჟე 0:0 გრენობლი
დიჟონი 1:0 სედანი
გენგამი 2:1 ლე მანი
ლავალი 4:3 კლერმონი
ნიორი 0:1 რეიმსი
ტრუა 2:0 ბრესტი
ლორიანი 2:0 ლე ავრი
ამიენი 0:0 კრეტეი

### ჰოლანდია
I დივიზიონი. XIV ტური
ვალვაიკი 2:2 ვიტესი
II დივიზიონი. XV ტური
აპელდორნი 1:1 სპარტა
დორდრეხტი 1:3 ჰაარლემი
ემენი 2:3 ვოლენდამი
ექსელსიორი 1:2 ოსი
სიტარდი 2:5 ვენლო
ჰელმონდი 3:0 მაასტრიხტი
ჰერაკლესი 1:0 ეინდჰოვენი
ტელსტარი 4:1 ვეენდამი

### პორტუგალია
სუპერლიგა. XII ტური
ბოავიშტა 3:0 ბეირა მარი

### თურქეთი
სუპერლიგა. XIV ტური
ანკარაგიუჯიუ 0:1 გალათასარაი

### სლოვენია
სი მობილ ლიგა XVII ტური
ოლიმპია 2:1 პტუი

### პოლონეთი
თასის III ეტაპი
ლკს 2:3 პლოცკი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge